# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 9 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 206 (6306)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## „მაისში ოპოზიციამ ის ვერ გათვალა, ივნისის ბოლოს რომ საკნები დაცარიელდებოდა“



3



## ლადო პაპავა: „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ ღია კარის მტვრევა, კლასიკური შეცდომები და მხოლოდ პიარზე გათვლილი ინიციატივაა

2

## ხელისუფლება ტყეებს უჩუმრად ყიდის

11



## რატომ აკონტროლებენ მიზანმიმართულად საწარმოებსა და სავაჭრო ობიექტებს?

11

## რატომ ეშინია პრეზიდენტს საკონცერტო დარბაზში შეკრებილი ხალხის?

2

## „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა“

5 8

## კონსერვატორები ბრალს სდებენ შევარდნაძესა და სააკაშვილს „ძმათამკვლელი ომების გაჩაღებაში“

2



## სადაც არის, იქ იყოს ილია!..

4

## შევეშვათ ძეგლთმოქრაობას



მ. სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი: „ევროპელებმა ვერ შეძლეს სიმართლეზე თვალის დახუჭვა. ეს საქართველოს დიდი დიპლომატიური გამარჯვებაა“.

კ. კოსაჩოვი, დუმის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე: „პარლამენტის ასოციაციის მოხსენებაში ამომწურავად არის დასახელებული კონფლიქტის მიზეზები: საქართველოს მოქმედება კვალიფიცირებულია, როგორც არასანქცირებული აგრესია, რუსეთის მოქმედება კი — როგორც აბსოლუტურად ლეგიტიმური“.

რით არის კარგი დიპლომატიური ომები? — ნებისმიერ მხარეს შეუძლია იგრძნოს თავი გამარჯვებულად. რეალური ომებისგან განსხვავებით!

კითხული კაცის აზრი



**„ინტერპრესნიუსი" ესაუბრა ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავას**

# „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" ღია კარის მტვრევა, კლასიკური შეცდომები და მხოლოდ პიარზე გათვლილი ინიციატივაა

**— ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტ სააკაშვილის „ეკონომიკური თავისუფლების აქტს", რომლის ინიციატივითაც იგი პარლამენტის წინაშე წარსდგა?**

— ინიციატივა თავისუფალ აქტთან დაკავშირებით ორ ნაწილად უნდა გაიყოს. ერთი ნაწილი უნდა შეფასდეს, როგორც ღია კარის მტვრევა, ხოლო მეორე ნაწილი — როგორც კლასიკური შეცდომები.

ღია კარის მტვრევაა თუნდაც ჩვენი ეროვნული ვალუტის თავისუფალი კონვერტაცია. 1995 წლიდან, რაც ლარი შემოვიღეთ, იგი თავისუფალ კონვერტაციაშია. კონვერტაციისათვის მას არანაირი დამატებითი აქტი არ სჭირდება, ეს არის სწორედ ღია კარის მტვრევა. ასევე, ღია კარის მტვრევაა უცხოელი პარტნიორების მიერ მიღებული მოგების რეპატრიაციაზე საუბარი, ვინაიდან ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე უცხოელების მიერ მიღებული მოგების რეპატრიაცია 1996 წელს არის მიღებული. ასეთი ინიციატივების კონსტიტუციის რანგში აყვანა უბრალოდ არაფრისმთქმელია, რადგანაც ეს ისედაც ასეა და არაფერს არ იძლევა.

რაც შეეხება შეცდომებს, რომლებიც აშკარა და გამოკვეთილია. ჯერ ერთი, არ შეიძლება, კონსტიტუციის დონეზე იყოს აყვანილი ის, რაც უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი. ეკონომიკური პოლიტიკა ცვალებადია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ვითარებაშია ქვეყანა, როგორია გლობალური ეკონომიკური ტენდენციები, არის თუ არა მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი და ასე შემდეგ.

**— რას ნიშნავს კონსტიტუციაში საბიუჯეტო ხარჯების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების 3 პროცენტით განსაზღვრა? ან ის, რომ სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან 6 პროცენტი უნდა იყოს?**

— თავისთავად ის, რომ საბიუჯეტო ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, კარგია. როგორც ეკონომისტი, ამას მივესალმები, მაგრამ არ არის გამორიცხული, რაღაც ეტაპზე მთავრობა იძულებული გახდეს, რომ საბიუჯეტო ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 3 კი არა, 31 პროცენტი იყოს. იმის გამო, რომ კონსტიტუციურად შეზღუდვა დაწესდება, შესაბამისი საბიუჯეტო პარამეტრების შემუშავება და მიღება ვერ მოხერხდება. პრეზიდენტის ინიციატივა, კონსტიტუციურად განისაზღვროს, რომ საბიუჯეტო დეფიციტი შიდა პროდუქტთან მიმართებაში 3 პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს, ძალიან კარგია, მაგრამ დღევანდელი ვითარება ასეთია — დღეს საქართველოში შიდა პროდუქტთან მიმართებაში ბიუჯეტის დეფიციტი 9,4 პროცენტი შეადგენს. დეფიციტი ასეთი მაღალია იმიტომ, რომ კრიზისის პირობებში საგადასახადო შემოსავლები შემცირდა და ქვეყანა იღებს უცხოურ დახმარებას. თუ კონსტიტუციაში შევიტანეთ ცვლილებას, რომ დეფიციტი 3 პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს, მაშინ რა გამოდის, უცხოურ დახმარებაზე უარი უნდა ვთქვათ და არ უნდა მივიღოთ? ამ შეზღუდვის კონსტიტუციაში ჩაწერა დაუშვებელია. ეკონომიკაში ვითარება ცვალებადია, ამიტომ ამის გაკეთება არ შეიძლება. იდეალურ მდგომარეობაში დეფიციტი 3 პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს, მაგრამ დღეს ხომ 9 პროცენტზე მეტი გვაქვს.!

რაც შეეხება საგარეო ვალს. ინიციატივა, რომ საგარეო ვალი არ უნდა იყოს მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტზე მეტი, აბსოლუტურად სწორი მიდგომა და საერთაშორისო სტანდარტია, მაგრამ ამის კონსტიტუციაში ჩაწერა როგორ შეიძლება? ეკონომიკაში ყოველთვის ცვალებადი სიტუაციაა. სახელმწიფომ შეიძლება, ვალი აიღოს, შეიძლება — არა, მაგრამ როცა კონსტიტუციაში გაჩნდება ამგვარი ჩანაწერი, ნიშნავს, რომ ხელისუფლება საგარეო ვალის 6 პროცენტმდე აღებას აკანონებს. თუ დღეს საგარეო ვალი 25 პროცენტზე მეტი არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი „ლუფტი" აიღო საგარეო ვალების ასაღებად. ასე რომ, ამ ინიციატივის კონსტიტუციაში ჩაწერა ნამდვილად არ შეიძლება.

**— რაც შეეხება მაკონტროლებლების შემცირებას, არ მიგაჩნიათ, რომ მაკონტროლებლების შემცირება ხელს შეუწყობს ეკონომიკის ლიბერალიზაციას და ეკონომიკის განვითარებას?**

— ამის კონსტიტუციაში ჩაწერაც გაუგებარია. დღეს ჩვენ ევროკავშირი მასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლის ერთ-ერთ მოთხოვნად გვიყენებს ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენას და, შესაბამისად, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებას. თუ კონსტიტუციაში ჩავწერთ, რომ ასეთი მარეგულირებელი სამსახურები აღარ უნდა შეიქმნას, გამოდის, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე ვერასდროს ვერ გადავალთ. უნდა ვიცოდეთ, რომ სინგაპურისადმი ტრფიალი არ გამოგვადგება. სინგაპურში კი არის ეკონომიკური თავისუფლება, მაგრამ სინგაპურს ავტორიტარული რეჟიმი მართავს. სინგაპურული მოდელი ქვეყნის მოწყობის ევროპული მოდელი სულაც არ არის. ასე რომ, კითხვა — საით მიგვყავს ქვეყანა? — აბსოლუტურად ლოგიკური და კანონზომიერი იქნებოდა. ქვეყნის სინგაპურიზაცია ევროპული განვითარების გზა არ არის. როგორც ვთქვი, პრეზიდენტის ინიციატივის ნაწილი ღია კარის მტვრევა, ნაწილი კლასიკური შეცდომები და პიარის კეთების სურვილია.

თქვენამდე, არა ერთმა ჟურნალისტმა დამირეკა, ახლა დაიწყება ამ ინიციატივის საჯაროდ განხილვა, ტელევიზიები ამ თემაზე ბევრს იხმაურებენ და მოხდება ერთი თემის მეორე თემით გადაფარვა.

ინიციატივის კიდევ ერთი შეცდომა გამომრჩა და უნდა ითქვას. ეს არის გადასახადების განაკვეთის ზრდა და ახალი გადასახადების შემოღება რეფერენდუმის გზით. როგორც ეკონომისტი, მომხრე ვარ დაბალი საგადასახადო ტვირთის, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ეკონომიკა ცოცხალი და ცვალებადი ორგანიზმია და რაღაც ეტაპზე შესაძლოა, აუცილებელიც იყოს გადასახადების განაკვეთის გაზრდა. ჩვენ თუ ამას რეფერენდუმზე გავიტანთ, წარმოგიდგენიათ, რომ რეფერენდუმზე ამას ვინმე დათანხმდეს? ანუ რას ვაკეთებთ? ჩვენ თვითონ ძირს ვუთხრით ქართულ სახელმწიფოს? თუ მომავალში ქვეყანაში პრობლემები შეექმნა, მას არ უნდა შეეძლოს პრობლემების გადაწყვეტა? ინიციატივის ეს მხარეც აბსოლუტურად გაუგებარია.

**— ბატონო ლადო, თქვენ ისეთი სურათი დახატეთ, რომ მართლაც გაუგებარია, როგორ შეუწყობს ხელს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" ეკონომიკის ლიბერალიზაციას და ეკონომიკის განვითარებას?**

— ამაზე, გარკვეულწილად, უკვე გიპასუხეთ. ჩემი აზრით, ეს ემსახურება რაღაცის, შესაძლოა, ტალიავინის მისიის დასკვნის გადაფარვას. დღეს ყველაზე აქტუალური თემა ტალიავინის მისიის დასკვნაა. პრეზიდენტის ამ ინიციატივის შემდეგ ყველაზე აქტუალური თემა ის იქნება, რაზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ. ქართული ეკონომიკისთვის ამ ინიციატივაში რამე რეალურად ღირებულს ვერ ვხედავ, დანარჩენი მოგახსენეთ, როგორც მესმის — პრეზიდენტის „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" ღია კარის მტვრევა, კლასიკური შეცდომები და მხოლოდ პიარზე გათვლილი ინიციატივაა.

**კობა ბენდელიანი**

რეპლიკა

# რატომ ეშინია პრეზიდენტს საკონცერტო დარბაზში შეკრებილი ხალხის?

## არადა, რა ლამაზი იყო რუსთაველი ღამით!

**დიდება უფალს, რომ კიდევ ერთხელ მეღირსა ბედნიერება დავსწრებოდი მეოცე საუკუნის უბრწყინვალესი საესტრადო მომღერლის ნანი ბრეგვაძის სოლო კონცერტს. 5 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ზეიმობდა დიდი ხელოვნება, უნაზესი მუსიკა და ამ ღვთიური ქალბატონის ბაგეთაგან გადმომდინარი სიმღერა...**

ქალბატონი ნანი მისეული სისადავითა და სიყვარულით მოეფერა დამსწრე საზოგადოებას, თავის ხალხს, თავის მშობელ ერს! ვისხედით დარბაზში და თვალები ცრემლებით გვევსებოდა, სიხარულის ცრემლებით! თვალწინ იშლებოდა მთელი ცხოვრება იმ ადამიანისა, რომელზეც მზე და მთვარე ამოგვდიოდა იმ წლებში!

ბედნიერი ვიყავი, ნამდვილი ბედნიერი, 2009 წლის 5 ოქტომბერს! ეს თარიღი კიდევ ერთი ზეიმის დღე იყო ჩემთვის, და, კიდევ კარგი, ამ ზეიმმა დამიცხრო შეურაცხყოფილი გული, თორემ...

რუსთაველის პროსპექტი აუჩქარებლად გავიარე. განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრიდა საღამოს თბილისის პეიზაჟები. სულიერად ვემზადებოდი უდიდეს ალმაფრენასთან შესახვედრად, მაგრამ ფილარმონიის შესასვლელთან ყველაფერი დაიმსხვრა და ჩაირეცხა!

მემცხეთა: თითქოს, ციხე-ქალაქს შესევიანო, ფილარმონიის მისადგომებთან უამრავ „სამართალდამცავს" მოეყარა თავი! ჯერ იყო და, გავიფიქრე, ალბათ, კოლექტიური დასწრება უბრძანათ ბატონმა მინისტრმა-მეთქი, მაგრამ კარებში ხუთრიგად „ჩალაგებულმა" „დეტექტორიან", „დუბინკიანმა" პატრულმა შემაშფოთა!.. ბილეთი გავუწოდე შეშინებულ კონტროლიორ ქალბატონს!



— ამოიღე ჯიბიდან დანა, იარაღი, თუ რამე გაქვთ!.. — მეცა „პაგონიანი" ჯეელი.

— დანითა და იარაღით ვინ მოდის, შე, კაცო, ფილარმონიაში? — გაოცებისგან, ლამის იყო და თმები დამიდგა ყალყზე.

— ამოიღეთ რაც გაქვს და მაგიდაზე დაალაგე!.. ამ უხერხულმა, მაგრამ მკაცრმა ბრძანებამ სიტყვა ყელში გამიჩხირა. სასოწარკვეთილმა მიმოვიხედე და... დავმშვიდდი! დავმშვიდდი (თუ ამას დამშვიდება ერქვა!ძ რადგან ჩემზე უარეს დღეში იყო ყველა, ვინც იმ საღამოს თავისი უსაყვარლესი ადამიანის სანახავად და მოსასმენად მოვიდა აქ.

— რა გინდა, ძმაო, „პლავკები" მაცვია და იმას აქვს რკინის პატარა ბალთა... რა? გავიხადო?.. — „აიასნებდა", რიგში ჩემს უკან მდგარი მამაკაცი.

რას აკეთებთ, ხალხო, არა გრცხვენიათ-მეთქი, დავიმარტოხელე კიდევ ერთი „პაგონიანი" ჯეელი და ჩემი ჯიბიდან „ამოფხეკილ" ნივთებს და ქამარ-მოსართავებს თანდათან ვაბრუნებდი თავის „საბუდარში".

— რატომ ღელავთ, მოქალაქევ?.. პრეზიდენტი უნდა მობრძანდეს და უსაფრთხოებას ვიცავთ!.. — ამიხსნა „პაგონიანმა".

...ვაი, უბედურო საქართველოვ, როგორ გაგვხდომია საქმე, — პრეზიდენტი ფილარმონიაშიც ვერ დადის დამცველი გვარდიის გარეშე, ხალხთან შეხვედრისა ეშინია.

შიშს კი, ჯარი ვერ უშველის, ბატონებო! შიშს ვაჟკაცობა და სიმართლე უნდა დაახვედრო!

...არადა, რა ლამაზი იყო რუსთაველი გვიან ღამით... რომ არა, ხილვა სანაგვე ყუთებთან მიძინებული მათხოვრებისა!

**ზაურ ფიფია**

აქცია

# კონსერვატორები ბრალს სდებენ შევარდნაძესა და სააკაშვილს „ძმათამკვლელი ომების გაჩაღებაში"

**კონსერვატიული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ბიძინა გუჯაბიძემ აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალთან მოაწყო ბრიფინგი. მან ბრალი დასდო საქართველოს ყოფილ და ამჟამინდელ პრეზიდენტებს ედუარდ შევარდნაძესა და მიხეილ სააკაშვილს ძმათამკვლელი ომების გაჩაღებაში.**

გუჯაბიძემ წაიკითხა კონსერვატიული პარტიის სპეციალური განცხადება, რომელშიც დაგმობილია როგორც ექს-პრეზიდენტის, ისე ახლანდელი პრეზიდენტის მოქმედებანი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ომების გაჩაღებასთან დაკავშირებით. პარტია მოითხოვს სპეციალური დამოუკიდებელი კომისიის შექმნას საბრძოლო დანაშაულებათა გამოკვლევისთვის.

**მურად ალაშვილი.**

ავტორის ფოტო



◉ შეფასება



*„საქართველოს რესპუბლიკის" სტუმარია პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ყოფილი პოლიტპატიმარი, 1992-95 წლების პარლამენტის წევრი ვახტანგ ძაბირაძე, რომელიც ჩვენს მკითხველს გულახდილად მოუყვება საკუთარ შეხედულებებზე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.*

# „მაისში ოპოზიციამ ის ვერ გათვალა, ივნისის ბოლოს რომ საკნები დაცარიელდებოდა"

## მაშინ რა დაშავდა იმით, სააკაშვილმა თუ ვერ გათვალა, ცხინვალში რა მოხდებოდა?!

**— ბატონო ვახტანგ, სანამ პოლიტიკური პროცესების კონკრეტულ მიმოხილვას დავიწყებდეთ, იქნებ მოკლედ შეაფასოთ დღევანდელი პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნება და კონკრეტულად ის, თუ რა შედეგს მოიტანს ასეთი პლურალიზმი? დღეს თქვენ უპარტიო ხართ, თუმცა ეროვნული მოძრაობიდან მოდიხართ და პარტიების შეფასების დიდი გამოცდილება გაქვთ.**

— ამ მხრივ, მართლაც, საკმაოდ რთული ვითარებაა. მრავალპარტიულობა თავისთავად პრობლემა არ არის, მაგრამ თუ ვილაპარაკებთ იმაზე, რატომ იქმნება ესა თუ ის პარტია, აქ სხვაგვარად დგას საქმე. პარტიებში სულ ერთი და იგივე სახეებია. თუკი ახალგაზრდა დააპირებს პოლიტიკაში მოსვლას, ერთადერთი გზა არის სახელისუფლებო პარტია. სხვა ასპარეზი კარიერისთვის არ არსებობს, რაც თავისთავად ძალიან ცუდია.

ახალი პარტია იქმნება იმისთვის, რომ ვიღაცამ კარიერა გაიკეთოს.

**— რას იტყვით, მაგალითად, ალასანიაზე, რომელმაც კარიერა ხელისუფლებაში გაიკეთა და მას ტრამპლინი პოლიტიკაში მოსასვლელად არ სჭირდებოდა?**

— ალასანიას ფაქტი ცოტა განსხვავებულია. მან შექმნა ალიანსი ორი სოლიდური პარტიისაგან, თუმცა ჩემთვის სრულიად გაუგებარი დარჩა, რატომ შექმნა თავისი პარტია, როცა ის უკვე ალიანსის აღიარებული ლიდერი გახდა?!

საქართველოში უამრავი პარტიაა, მაგრამ მათ ძალიან მწირი ადამიანური რესურსი აქვთ და მთელი ოპოზიცია ერთად აღებული ვერ შეძლებს კომპეტენტური ადამიანებით სრულად დააკომპლექტოს სახელისუფლებო ვერტიკალი. მე არ ვგულისხმობ იმ სიტუაციას, როცა ბევრი შრომის წიგნაკს სწორედ პარლამენტში ხსნის და საზოგადოება მას შემდეგ გაიცნობს, როცა ის დეპუტატი ხდება. გადახედეთ ხელისუფლებას, აღმასრულებელს თუ საკანონმდებლოს. ასეა ოპოზიციურ სპექტრშიც...

**— ბატონო ვახტანგ, საზოგადოება დაბნეული და იმედგაცრუებული დარჩა ოპოზიციის ქმედებებით. რას ფიქრობთ, რატომ მივიდა პოლიტიკური პროცესები ამ ვითარებამდე?**

— მივიღეთ ის შედეგი, რაც უნდა მიგვეღო ოპოზიციის ქმედებებიდან გამომდინარე. ჯერ კიდევ 2007 წელს, როდესაც ნოემბერში ოპოზიცია იძულებული გახდა, საპროტესტოდ გამოსული ხალხის დიდი მასა ემართა, ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. მეორე იყო ისიც, რომ ვერ გასცდნენ ლიდერები ემოციურ ფარგლებს: მივალთ, დავანგრევთ, დავამთავრებთო... და მესამე, ჩვენ პროცესების განვითარების ლოგიკას არ ვაღიარებთ. ოპოზიცია აჩქარდა და არ მიჰყვა პროცესებს. საბოლოოდ ის მივიღეთ, რომ მთელი ეს მოძრაობა დარჩა ლაშქრის დონეზე. ლაშქარმა კი რაღაც მომენტში შეიძლება სძლიოს არმიას, მაგრამ ბოლოს მაინც აუცილებლად დამარცხდება. ოპოზიციამ ვერ შესძლო მასა მებრძოლ გუნდად ჩამოეყალიბებინა. 20 წელიწადია ისე ვაკეთებთ ყველაფერს, რომ არ ვფიქრობთ. არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, საზოგადოება ხომ საერთოდ არ ფიქრობს და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

**— ანუ რა?**

— ის, რომ ხელისუფლებას თავი გამარჯვებული ჰგონია.

**— და რა, არ გაიმარჯვა?**

— გაიმარჯვა, მაგრამ ამ სიტუაციიდან გამომდინარე რეპრესიები დაიწყო. საპროტესტო მუხტი არსებობს, თუმცა ის იმდენად მწირია დღეს და ისე დიდია გულგატეხილობა ოპოზიციისადმი, უახლოეს პერიოდში რაიმე სერიოზული მოძრაობის დაწყება წარმოუდგენელია.

**— ოპოზიცია კი პირიქით, ოქტომბრის შუა რიცხვებიდან შემართებით იწყებს აქციებს.**

— დაწყება რას ნიშნავს? მოვა იქ სამი ათასზე ან ხუთი ათასზე მეტი?

**— დავუშვათ მივიდა. მერე რა იქნება, როგორ ფიქრობთ?**

— სწორედ ეს არის საინტერესო, რომ არც მათ იციან, მერე რა იქნება. ეს არის პრობლემა. ეს პირველად ხომ არ ხდება, სულ ასეა, არასოდეს არაფერი არ არის გათვლილი იმის გარდა, რომ ფიქრობენ, მიშა ბევრ ხალხს რომ ნახავს, გაიქცევაო. არსადაც არ გაიქცა.

**— რომ შედგეს ოპოზიციური გაერთიანება, მაშინ რამე შეიცვლება?**

— გაერთიანებას შეიძლება ჰქონდეს მეტი შანსი იმიტომ, რომ მეტი ადამიანური რესურსი ექნებათ.

**— ძალიან კრიტიკული ხართ ოპოზიციის მიმართ, მაგრამ, საინტერესოა, რას ფიქრობთ ხელისუფლებაზე?**

— დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკას რა აზრი აქვს?! არსებობს რაიმე საკითხი, რომელზეც იტყვი, რომ კი, ეს კარგია, მაგრამ ის ცუდიაო. ყველაფერი იქითკენ მიდის რომ, მართალია, სუფთა ავტორიტარიზმია-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ ავტორიტარიზმის ბევრი აშკარა ნიშანი არსებობს. აქ მთავრდება ჩემი ხელისუფლებასთან ლაპარაკი.

**— თუცა, ბატონო ვახტანგ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა განსაკუთრებით საქართველო აირია და განუკითხაობა დაიწყო, ისმოდა ხოლმე ხალხის ნოსტალგია „მკაცრ ხელზე", რომელიც დაალაგებდა ქვეყანას. ეს, ბუნებრივია, ავტორიტარიზმის ელემენტებს გულისხმობდა. ვხედავთ, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ წავიდა, გვაქვს შუქი, გზები, სტაბილურობა... თუკი ყველაფერი ცუდისკენ მიდის, როგორღა ახერხებს ამას ხელისუფლება?**

— აი, აქ არის მარტივი სიტუაცია. ერთის მხრივ არსებობს ადამიანის უფლებები, თავისუფლება, ლიბერალური ღირებულებები და მეორე მხრივ არის ის, რაც თქვენ ჩამოთვალეთ.

თუკი იქნება გზები, შუქი და ა. შ. ეს არ ნიშნავს, რომ ამას მოჰყვება ლიბერალური ღირებულებები და ადამიანის უფლებები, მაგრამ თუ იქნება ჯერ ეს ღირებულებები და ფასეულობები ქვეყანაში, მაშინ იქნება გზები, შუქი და მატერიალური კეთილდღეობა. ეს სხვადასხვა სიბრტყის ამოცანებია. დღეს, სააკაშვილი ეკონომიკის ლიბერალიზაციას მოითხოვს, როცა ქვეყანაში არბიტრაჟი არ არსებობს, დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს. კონსტიტუციაში რაც წერია, ის კი გვაძლევს საერთაშორისო რეიტინგებს, მაგრამ რეალურად არ სრულდება. ბიზნესი შეიძლება დაიწყო საქართველოში, მაგრამ წარმოება არ შეიძლება. აი, ეს არის უბედურება... ამიტომ ჩემი კრიტიკის ობიექტი ხელისუფლება ვერ იქნება.

**— ორივე მხარე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეთ. მაშინ სად არის გამოსავალი, რა უნდა ქნას საზოგადოებამ სიტუაციის გამოსასწორებლად?**

— საზოგადოება უნდა გახდეს მომთხოვნი. ჩვენ უნდა მოვთხოვოთ ოპოზიციას.

**— რა უნდა მოვთხოვოთ?**

— ის, რომ მან გაიაზროს და ისე გადადგას ნაბიჯი. ჩვენ ისე გვაწუხებს ხელისუფლება, რომ თვალს ვხუჭავთ ოპოზიციის შეცდომებზე.

**— რას ვერ პატიობთ ოპოზიციას? ვთქვათ, ერთი კონკრეტული მაგალითი?**

— უამრავმა ექსპერტმა, როგორც კი 9 აპრილის აქცია დაიწყო, თქვა, ოპოზიციამ უნდა იფიქროს, როგორ დაამთავროს ეს პროცესი, არ მოხდეს ისე, რომ საკნებში ხალხი გამოილიოს, ივლისი და აგვისტო აქციის გასაგრძელებლად წარმოუდგენელიაო... ამ რჩევების შემდეგ მაინც ხომ უნდა მოეძებნათ გამოსავალი?

იხ. 4 გვ.

◉ ვაი მთავრობისგან

# პაკეტით მორთმეული ტყუილი

## პროგრამა მიმზიდველია, მაგრამ არარეალური

**რაც დრო გადის, ხალხის „კეთილდღეობის ზრდის" პარალელურად, ხელისუფლება ტყუილების თხზვასა და გასაღებაში სულ უფრო მეტად ოსტატდება და სპეციალდება. მისმა კვალიფიკაციამ ამ დარგში, წარმოიდგინეთ, ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. ამის დასტურად სხვა თუ არაფერი, მარტო ისიც იკმარებდა, თავის დროზე მთავრობამ ქვეყანაში მომძლავრებული სიღატაკის დასაძლევად ჯერ 50-დღიანი, ხოლო შემდეგ 50-თვიანი პროგრამა რომ შემოგვასაღა და ეკონომიკა იმდენად აღაზევა, რომ მეზობელმა რუსეთმა ომის მეშვეობით მისი შეჩერება ძლივს მოახერხა. აღარაფერს ვამბობ ბიზნესის იოლად საკეთებლად საქართველოში დაგებულ ხალიჩებზე, რომელმაც უცხოელი ინვესტორები ბუზივით დაგვასია, ხოლო თავად ქვეყანა ამ დარგში მაღალრეიტინგულ სახელმწიფოთა შორის გადაისროლა.**

მიღწეულით ტკბობა (ზოგი ამას ხელის მოთბობასაც უწოდებსძ, ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა, მონაპოვრით ტრაბახი საქართველოს ხელისუფალთ რომ „არა სჩვევიათ", ეს ამჯერადაც გამოჩნდა, როცა ტალიავინის კომისიის დასკვნით აღფრთოვანებულმა მთავრობამ საკუთარი ხალხის დასაპურებლად ახალი ეკონომიკური პროგრამა-ტყუილის შემოთავაზება განიზრახა. ამ ინიციატივის ავტორად, როგორც ყოველთვის, ახლაც პრეზიდენტი სააკაშვილი მოგვევლინა, რომელმაც ტყუილების პროგრამას თანამედროვე დიზაინი მოარგო, ლამაზად შეფუთა და პარლამენტს პაკეტით მიართვა.

ამ პაკეტს პრეზიდენტმა მისთვის ჩვეული გამჭრიახობისა და სილაღის მანერით „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" უწოდა. თავისუფლების ხარისხში ვინმეს ეჭვი რომ არ შეპარვოდა, მიხეილ სააკაშვილმა ეკონომიკის ლიბერალიზაციის სამთავრობო პოლიტიკას ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა, აქო და აქო, იტრაბახა და იტრაბახა იმ არამიწიერი შედეგებით, რაც ამ პოლიტიკამ საქართველოს მოუტანა. კერძოდ, არ დაიზარა, კიდევ ერთხელ გაეხსენებინა ჩენთვის უკვე მრავალჯერ ნათქვამი ჭეშმარიტება იმის თაობაზე, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივით დღეს ჩვენ მსოფლიოში მხოლოდ 10 ქვეყანა გვისწრებს, ხოლო საგადასახადო ტვირთის სიმძიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პლანეტაზე მე-4 საპატიო ადგილზე ვიმყოფებით. ამიტომო, დასძინა პრეზიდენტმა, მთავრობამ უნდა გააგრძელოს ეკონომიკის ლიბერალიზაციის შეუქცევადი პროცესი, რათა იხეიროს სამამულო ბიზნესმა, გაიზარდოს უცხოელ ინვესტორთა დაინტერესება და აყვავდეს ქვეყნის ეკონომიკაო.

მაგრამ ხომ შეიძლება ამდენი თავშესაქცევი ამბების შემდეგ ვიღაცას გაუჩნდეს კითხვა: როგორ ხდება, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივის მაჩვენებლით ჩვენ გავუსწარით იაპონიას, ჰოლანდიას, გერმანიას და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, აი, ეკონომიკურად კი ისევ ღატაკები დავრჩით?

პრეზიდენტ სააკაშვილს ბიზნესის მარტივად კეთების დარად ამ კითხვაზე პასუხის მარტივად გაცემის ვარიანტიც გააჩნია: ჩვენო, ამბობს ის, ბიზნესის კეთების რეიტინგი კი გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვაქვს დოვლათი, რომლითაც მშიერ ხალხს დავაპურებდითო. ჩემმა მზემ, კაი რამე კი გკლებიათ, უფალო პრეზიდენტო!

ჰო, გვაკლია, არ მალავს მთავრობის თავკაცი, მაგრამ ჩვენ გვაქვს დიდი შესაძლებლობები იმისა, რომ ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციის, ბიზნესში მთავრობის ჩაურევლობით, ადგილობრივი მეწარმეებისა და უცხოელი ინვესტორებისთვის სასურველი სამუშაო და კონკურენტული პირობების შექმნით, გადასახადების კიდევ უფრო გამარტივება-შემცირებით, და, რაც ყველაზე მთავარია, ამ პირობების კონსტიტუციურად უზრუნველყოფით, გავიდეთ იმ პოზიტიურ ნიშნულზე, რასაც მსოფლიოს მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა მიაღწიეს.

ღმერთმანი, კარგი ფანტაზიაა, უფრო სწორად, მოსწრებული ტყუილი, რომლითაც ნაციონალურმა ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკა არაერთგზის დააპურა. განსხვავება მხოლოდ ერთშია, ადრე მთავრობა ამ ტყუილებს „პროგრამებს" არქმევდა, ახლა კი „პაკეტად" შეგვასაღა. პრეზიდენტი უფრო შორს წავიდა და მას გაცილებით მეტი რომანტიკა შესძინა – „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" (შეიძლებოდა „ქარტიაც"ძ შეერქვა.

იქმნება იმის ილუზია, რომ ახალი ეკონომიკური პაკეტის პირობებში მომუშავე ეკონომიკა მთლიანად გათავისუფლდება მთავრობის „უტარო კოვზივით" ჩარევისგან, ბაზარზე შეიქმნება ჯანსაღი კონკურენტული გარემო, საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არ აღემატება 30 პროცენტს,ნებისმიერი გადასახადის გაზრდა, ისიც გამონაკლისის სახით, შესაძლებელი იქნება მხოლოდ რეფერენდუმის მეშვეობით. კი მაგრამ, აქამდე ვინ აიძულებდა ხელისუფლებას სახელმწიფო რეკეტით ემართა ბიზნესი, მძიმე საგადასახადო ტვირთით წელში გაეწყვიტა მეწარმეები, გაეუქმებინა ანტიმონოპოლიური სამსახური, მოემრავლებინა მონოპოლისტი კომპანიები და მათთან მეწილეობით ამოეყორა საკუთარი მუცელი? ამ პრაქტიკიდან გამომდინარე, ხომ შეიძლება კვლავაც დაიბუდოს ეჭვის ჭიამ პრეზიდენტის მსუყე ნათქვამში: „ჩვენ გავაგრძელებთ მთავრობაში ქამრების შემოჭერას და არა ბიზნესმენებისთვის ყელში წაჭერას"(!ძ.



ხელისუფლება რომ ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს, მისმა ამასწინანდელმა მოქმედებამაც დაადასტურა. მეწარმეები, რომლებსაც მთავრობა ბანკების მეშვეობით იაფი სესხის მიცემას დაპირდა, უკვე ცნობილი გახდა, რომ დანაპირებ ფულს ვეღარ მიიღებენ. რატომ, არ იკითხავთ? მთავრობამ თურმე გადაიფიქრა, ვიდრე მეწარმეებს შეღავათიანი კრედიტის იმედით ბანკებში განცხადებები შეჰქონდათ, მან ამ პროგრამისათვის გათვალისწინებულ 20 მილიონ ლარს 13,2 მილიონი ლარი ჩამოაჭრა და ორ სახელმწიფო კომპანიას – „რთველი – 2008"-სა და „აკურას" არგუნა. რატომ აჩუქეს სახელმწიფო კომპანიებს „იაფი სესხის" ბიუჯეტიდან ფული, ამ საკითხზე ეკონომიკის სამინისტროში კომენტარის გაკეთებას ყველა თავს არიდებს. ვერც გაამტყუნებ, მთავრობა იმდენ „იალლიშებს" აკეთებს, საკომენტაროდ სადღა მოიცლის?! არადა მთავრობის ოპერატიული ქმედებით მეწარმეებიც ხახამშრალი დარჩნენ და ბანკებიც, რომელთაც „იაფი სესხის" პროგრამაში მონაწილეობით სურდათ, ბანკში კლიენტები მიეზიდათ და სარგებელიც ენახათ.

ამ მაგალითის (და არა მარტო ამ მაგალითისძ შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოში ეკონომიკის თავისუფლებასა და ლიბერალიზაციაზე? ბიზნესის რეკეტი, მეწარმეთა საგადასახადო ტერორი ხელისუფალთა და მონოპოლისტ კომპანიათა „თანამეგობრობა", ინვესტორებთან წინასწარი გარიგება – აი ძირითადი მახასიათებლები, რომლითაც ჩვენი ეკონომიკის თავისუფლება აღიქმება. საქართველოში ბიზნესი, როგორც მიხეილ სააკაშვილი ტრაბახობს, შეიძლება ერთ დღეში ან სულაც ინტერნეტის მეშვეობით დაარეგისტრირო, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების გადამკიდე მას წლობითაც ვერ გამართავ ისე, რომ რეალური მოგება ნახო. ასე რომ, საქართველოში ეკონომიკას კონსტიტუციური თავისუფლება კი არა, ამ ხელისუფლებისგან გათავისუფლება უფრო მოუხდება. ტყუილს გინდა „პაკეტი" დაარქვი და და გინდა „ბრენდი", ის მაინც ტყუილად დარჩება. ახალი ეკონომიკური ინიციატივა ისევე მოემსახურება სახელისუფლებო კლანების გამდიდრებას და ხალხის გაღატაკებას, როგორც სააკაშვილის გუნდის წინა ინიციატივები და პროგრამა-პაკეტები. ამიტომაც ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ახალი ეკონომიკური პაკეტი მიმზიდველად კი გამოიყურება, მაგრამ არარეალური და პოპულისტურია.

**ოთარ ხუციშვილი**

შევეშვათ ძეგლთმოძრაობას

# სადაც არის, იქ იყოს ილია!..

**ილია ჭავჭავაძეს მე ბაღნობაში ბაბას ვეძახოდი. მერე, წერა-კითხვით რომ ავსიარულდი და ამ დუნიაზე პაწაწა მეც გავიხედ-გამოვიხედე, დიდ ილიას ჩემი მრავალწამებული აჭარის სახელითაც ბაბა დავუძახე.**

ახლა, მე ოთხმოცდამეხუთეში გადამდგარი ბერიკაცი, ფრიდონ ხალვაში, თავის სამოცდაათთან ტყვიით შეჩერებულ ილია-მართალს ისევ ბაბას ვეძახი.

ისეთი მამობა გაჭირვებული, სამასწლიანი ტყვეობიდან ახალგამოხსნილი აჭარისათვის არავის გაუწევია, როგორიც დიდმა ილიამ გაუწია, ჰოდა, ამიტომ, მე მასზე ხნიერიც შვილად ვთვლი თავს, ორმოცი წლის წინ მითქვამს:

**რა მშვენიერი ზღვაა ილია, —**
**მისი მზიანი ზვირთობა ბათუმს,**
**ოქროს ჩქერებად რომ**
**მოფრქვევია,**
**დღეს მიტომ ქართულს**
**ვეძახით ქართულს.**

**და თუ მადლობა ეკუთვნის**
**ვინმეს**
**ჩემი გულისა და ჩემი კუთხის,**
**ეკუთვნის იგი სიმართლეს**
**პირველს,**
**ძმებო, ილიას იგი ეკუთვნის!**

საბჭოთა იმპერიის არსებობის მიწურულს, რავარცხა მოხერხდა, — რახნის ნანატრი მშობელი და მხსნელი პატრონი, ახლა უკვე ძეგლადქმნილი, გვეწვია და თავის საყვარელ ბათუმში, თავისი სახელობის თეატრის წინ, მისი კუთვნილი სამუდამო ადგილი დაიკავა, თავისი ძველი, მარა ძალიან გამძლე სავარძელი დაიდგა და დაბრძანდა.

რა ვქნათ ახლა, მივიდეთ ილია ჭავჭავაძესთან, ჩავავლოთ ხელი, თავისი ადგილიდან წამოვაყენოთ, და, ასე იძულებით სხვაგან ჯინქვა-ჯინქვით გადავაჯინოთ?

არა, თქვენი ჭირიმე, იქნებ კარგ რამეს უპირებთ, მაგრამ მე და ჩემი შინაურები ილიას ძეგლშიც ვერ შევაწუხებთ. გინდათ, მოღალატეები გვიძახეთ! მართალია, გაზეთმა „ბათუმელებმა“, მერე, მასზე ყურისგდებით, „ასავალ-დასავალმა“, ისე რომ ჩემთვის არაფერი უკითხავთ, არც ხეირიანად ჩემი ასავალ-დასავალი იცოდნენ, სალანძღავად გამეტებულებში, სადღაც, მეც, მიმაკუდისძირეს, მაგრამ ისეთი ვინმეები აღმოჩნდნენ ეს „გამეტებულები“, რომ მაინც ყაბულს დავრჩი. კი, კი, გულში ვიამაყე კიდეც, სახალხო არტისტების იური ცანავას, მანუჩარ შერვაშიძის და მოკალმეების, დავით თედორაძის და ვახტანგ ღლონტის გვერდით რომ მომიხსენიეს.

ჩემი ძმობილის, პოეტ გიორგი გიგაურის სეხნია-მოგვარემ, ეტყობა, უკანმოუხედავად მიმწოლმა მეკალმე-მესიტყვემ, იმავე „ასავალ-დასავალში“, მართალია, ჩვენ „ბათუმელი ინდაურგენციის ერთი გუნდი“ გვიწოდა, თუმცა იმგაზეთელს, ალბათ, ვერ სცოდნია, რომ პრეზიდენტის შარშანდელი საახალწლო მსუქან-მსუქანი ინდაურების ბურდღაც კი, სამწუხაროდ, ჩვენამდე ქარსაც არ მოუტანია.

ახლა ისევ მთავარზე: ნუ შევაწუხებთ, სადაც არის იქ იყოს ილია!

ამას მარტო ჩემი ბაგეები კი არა, გული, ცრემლი და სისხლიც ამბობს. არ იქნა, სასაუბროდ ვერასოდეს ვერ შევხვდი საქართველოს პრეზიდენტს, წარმოიდგინეთ, ვერც აჭარის თავკაცს ახლანდელს, ვერ შევხვდი. კი, კაი ბიჭები არიან, მაგრამ, ხანდახან, ჯერ ისევ თავისი ფეხით მოსიარულე, ჩემისთანა, ათასყიამეთგამოვლილებიც ხომ ვესაჭიროებით მამულ-მემლუქეთს.

ამ წყალწაღებულ ქვეყანას კიდევ წყლის შადრევანი?! მით უმეტეს, აქა, ბათუმში, სადაც დილა-საღამო ციდან წვიმა შადრევნებად ჩამოკიდებულა, სადაც მთელი სანაპირო ბულვარი ე. წ. მომღერალი შადრევნებითაა მიმოღვრეული და იქვე, გვერდით ზღვის შეუნელებელი თქაშა-თქუშია.



ჰოდა, აქ კიდევ ერთი შადრევანი და შადრევანქვეშ რაღაც ანტიკურ ნამსხვრევებიდან მოჭუჭკული, ტიტველი კაცის ალათ-მალათგამოყრილი ფიგურა?—

მოდი, ჩვენს ნათეს-ნარგავებს მივხედოთ, ძმებო!

ნუ მივქელ-მოვქელავთ, ნუ მოვჟრეჭ-მივჟრეჭთ ყველაკაის, რაც კარგად გახარებულა.

რა ამბავები დაგვმართია დედა-თბილისში და მთელ მამულში. სახლებს, კარებს, ჭიშკრებს, დუქნებს, საოსტატოებს ჩვენებურა, ქართულა, კინაღამ ალარაფერი აწერია, იმდენი ასეული წლის მერე, ჩვენ აჭარლებმა, ძვილაი დედაენაზე წერა-კითხვა აღვიდგინეთ, ახლა დავდივართ ამ ჩვენს მონატრებულ საქართველოს ქუჩებში და ქართულ ანბანს ვეღარსად ვხედავთ. უცხოელ ჩვენებურებს ხომ თლა გული ეწვით.

აი, ამას გეუბნები, ზემდგომნო და, ყველავ!

ნუ გეშინიათ, ზემდგომნო, — არც დაწინაურებას გთხოვთ, არც „სადაჩეს“, არც უმაღლესში მოწყობას. მე ისეთი რაღაცუნები ვიცი, სანამ ჭკვა ჭინჭყოდ ქცეულა, დამიძახეთ, მამა-შვილურად გეტყვით. ეგება ერთად უფრო შევძლოთ დედა-სამშობლოს სინდის-ნამუსის მოვლა.

ავდგები, მივბრუნდ-მოვბრუნდები, მივეყუდები დირეებს, ვიბლაყუნებ თავისთავთან, ან შინაურს შევჩივლებ, მაგრამ შინაურს შეჩივლებული დარდი ხომ უფრო დარდიანდება. შევარდნაძის დრო უფრო მძიმე იყო, მაგრამ მასთან მისვლა, შეჩივლება-შედარდიანება მაინც ხერხდებოდა.

ჰოდა, რადგან ახლოდან ვერ მოგასმენიეთ, შორიდან ვწერ და ვიტყვი: ბათუმში, სადაც არის იქ უნდა იყოს ილია!

ახლა იმის დრო არ არის, მას ადგილი რომ ვუცვალოთ.

მეც ვახლდი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელს, ჩემს ქალაქში ილიასთვის ალაგს რომ არჩევდა. ეწყინება, მის სულს და აჩრდილს.

სადაც არის იქ უნდა იყოს ილია!

ხსენებულ გაზეთს აბაშიძე დიდმემედიც ილიასთან ერთად პატივით გახსენებია. დიდი მადლია! — დიდი მადლობა! გასულ გაზაფხულზე ჩავიარე ყოფილ სტალინის, ახლა აბაშიძის ქუჩით და, ერთგან, ქუჩისპირას მათხოვარივით ხელგამოშვერილი მემედის ძეგლი რომ შემომხვდა, მუხლებმა კანკალი დამიწყო. შემეცოდა გმირი კაცი.

და მაგიერ ვთქვი:

**მე ნაწყენი ვარ, მე გული**
**მტკივა —**
**„ერის მოდარდე, მცველი**
**მომავლის“,**
**ხედავთ როგორ ვარ,**
**სადა ვარ, ვინ ვარ?**
**ქუჩისპირს ვზივარ,**
**ვით მათხოვარი.**
**მაგრამ ყოველთვის,**
**ალბათ, ყოველთვის,**
**მხოლოდ შველად და**
**არა დიდებად,**
**გაჭირვებული**
**საქართველოსთვის**
**ჩემი სახელი კვლავ**
**დაგჭირდებათ.**

ასე რომ მემედ აბაშიძის ძეგლს, რომელიც უნიჭოდ გადააადგილეს, ახლავე უნდა მოვუნახოთ უფრო პატიოსანი სამყოფი მისივე ბათუმში. ისე, ძვირფასო ზემდგომნო და, ქვემდგომნოც, ყველავ, ყველავ, ყველავ, — ფრთხილად! რაც დარჩა ის საქართველო ხომ ჯერ ჩვენ გვაბარია!

როგორც პავლე ინგოროყვა იტყოდა, — მოვუაროთ საქართველოს და ერთმანეთსაც მოვუაროთ!

**ფრიდონ ხალვაში,**
**ქ. ბათუმი**
**06.10.09**

შეფასება

# „მაისში ოპოზიციამ ის ვერ გათვალა, ივნისის ბოლოს რომ საკნები დაცარიელდებოდა“

**(მესამე გვერდიდან)**

მე პირდაპირ ვთქვი, რომ 26 მაისს სტადიონზე უნდა დასრულებულიყო აქციები და გასულიყვნენ რეგიონებში, რომ სექტემბრიდან კვლავ დაეწყოთ ახალი საპროტესტო ტალღა. ოპოზიციამ სწორედ ის გააკეთა, რომ ბოლოს ცარიელი საკნები დატოვა და ხელისუფლებამაც აალაგა. სწორადაც მოიქცა.

მეორეს გეტყვით. სტადიონიდან რომ სამებისკენ დაიძრნენ, მითხარით, რა უნდა ექნა პატრიარქს, ვინმე რამეს ელოდებოდა?

**— ფიქრობდნენ, რომ ის გააკრიტიკებდა ხელისუფლებას.**

— ეს ხომ სხვა რამეს ნიშნავს! 60 ათასი კაცის წინაშე რომ პატრიარქი სააკაშვილს და მის ხელისუფლებას გააკრიტიკებდა, ეს ფაქტობრივად ნიშნავდა იმას, რომ ის კურთხევას მისცემდა ამ ხალხს, წასულიყო და აჯანყება დაეწყო.

მთელი ოპოზიციური სპექტრი იქ იყო და ესეც თუ ვერ გათვალა, მაშინ რა გამოდის?! მე ხელისუფლებას სწორედ იმის გამო ვაკრიტიკებ, რომ ეს ვერ გათვალა, ის ვერ გათვალა, შეცდომებს უშვებს, არ შეუძლია და ა. შ. თუ იგივე პრობლემა ოპოზიციასთანაც მაქვს, მაშინ რითი სჯობს ერთი მეორეს?!

მაისში ის თუ ვერ გათვალეს, რომ ივნისის ბოლოს საკნები დაცარიელდებოდა, მაშინ რა დაშავდა იმით, სააკაშვილმა თუ ვერ გათვალა ცხინვალში რა მოხდებოდა?!

**— რადგანაც სიტყვამ მოიტანა, აქვე გკითხავთ საქართველოს საგარეო ფაქტორებზე, ტალიავინის დასკვნაზე. რა იქნება ამის შემდეგ?**

— დასკვნა არის პოლიტიკური, სადაც როგორც საქართველო, ისე რუსეთი დაადანაშაულეს. თუმცა რუსეთის დადანაშაულება უფრო მკაცრად შეიძლებოდა. მაგრამ მას ანგარიში გაუწიეს იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც დღეს მსოფლიო პოლიტიკაში ხდება.

დასკვნა შეიძლებოდა შედეგის მომტანი ყოფილიყო ოპოზიციისთვის მაშინ, თუკი აქ იქნებოდა ისეთი საპროტესტო მუხტი, როგორც გაზაფხულზე იყო. ვინაიდან სიტუაცია ახლა განეიტრალებულია, ტალიავინის დასკვნის შემდეგ რაიმე ძმედითს ქვეყნის შიგნით არ ველოდები. საერთაშორისო მასშტაბით ორივე დაადანაშაულეს, მაგრამ ეს არის პოლიტიკური დასკვნა და არა სამართლებრივი. ამიტომ არც ერთი მხარის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება. ჯერ ერთი, დასავლეთი ხუთი წელი ამბობდა, რომ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა და ახლა დიქტატორად ვერ გამოაცხადებს. მეორეც, შეიძლება ძალიანაც უნდა მისი წასვლა, მაგრამ ვინ შეცვლის?! — უარესი?! მსოფლიო ჩვენ გამო თავის ინტერესებზე, მიდგომებზე და წესრიგზე უარს ვერ იტყვის. ოცი წელიწადია დასავლეთი ფულს გვიგზავნის და თუ აქ ვიღაც ჩინოვნიკი თანხებს თავის სასიკეთოდ იყენებს, ვამბობთ, ისიც დასავლეთმა გააკონტროლოს და თუ საჭიროა, იმან დაიჭიროსო. ახლა კიდევ სააკაშვილის გასამართლებას ვთხოვთ მათ, იმიტომ რომ ჩვენ ვერ მოვიშორეთ.

მოკლედ, მე მაინც ოპოზიციისაგან ვითხოვ იმას, რომ ის იყოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული და წარმოადგინოს გეგმა.

**— 15 ოქტომბრიდან ისევ დაიწყება აქციები.**

— დაიწყონ, მაგრამ ის კი არ თქვან, ჩვენ ვიცით ჩვენი გეგმები, თქვენ ოღონდ მოდითო. ჯერ გეგმა ჩამოაყალიბონ.

**— ბატონო ვახტანგ, ოპოზიციის გეგმა არის ბრძოლის ტაქტიკა. თუკი ეს ყველაფერი გაწერილი და მზა სახით დაუდო ხელისუფლებას, ის ხომ საპასუხო გეგმაზე იფიქრებს, რომლის გამომზეურებას მას არავინ არ მოსთხოვს?**

— ჰო, მაგრამ... აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებას ჰქონდა გეგმა, რომ აქციებს არ დაარბევდა და იგნორირებას გაუკეთებდა ყველაფერს. ოპოზიციას, საკნების თეატრალიზებული დადგმის მეტი, იმის იქით, გეგმა არ ჰქონდა. ელოდნენ, რომ მიშა წავიდოდა, რაც არ მოხდა. სხვა გეგმაც არ ჰქონდათ. ფარულად კი უნდოდათ რომ მიშას მიტინგი დაერბია და ამის შემდეგ იმოქმედებდა ოპოზიცია. მაგრამ ხელისუფლებამ დარბევები დაიწყო ლოკალურად და ოპოზიციამ ვერაფერი ვერ ქნა.

კი ბატონო, შევიკრიბოთ ისევ, მეც მოვალ, მაგრამ აქედან რა, რისთვის ვიკრიბებით, გამაგებინებენ? საპროტესტო აქცია რაღაც მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

დალოცვილებო, ხელისუფლება უნდა შეიცვალოს ორი გზით, ან არჩევნებით, ან უნდა ჩამოაგდო. სხვა გზა ისტორიამ არ იცის. ამათ რა მიზანი აქვთ ვიცით? არ ვიცით იმიტომ, რომ ოპოზიციამაც არ იცის. თუ რამეს გეგმავენ, ოთხი ფაქტორი უნდა გაითვალისწინონ: დასავლეთი, რუსეთი, ხელისუფლება და ოპოზიცია. სამწუხაროდ, ბოლო დროს ეს ფაქტორები კომპლექსურად არასოდეს ყოფილა განხილული.

**— ფავორიტი თუ გყავთ ოპოზიციაში?**

— სამწუხაროდ, არ მყავს.

**— ძალიან ბევრია თქვენს მდგომარეობაში.**

— ასეთების ორი კატეგორიაა. არ ჰყავს იმიტომ, რომ ითხოვს რაღაცეებს ან უბრალოდ, არავისი არ სჯერა. მე ვითხოვ ოპოზიციისაგან...

**— შეუძლია ოპოზიციას იმის გაკეთება, რასაც თქვენ ითხოვთ? იქნებ მართლაც არა აქვს რესურსი არც ინტელექტუალური, არც ფინანსური და არც ადამიანური?**

— პრესას ხომ კითხულობს? ხომ ვუჩვენებთ მათ შეცდომებს, რა ხიფათებია მოსალოდნელი, რატომ არ ითვალისწინებენ? სააკაშვილთანაც ხომ ეს პრეტენზია გვაქვს, რომ საზოგადოების აზრს არ ითვალისწინებს. ოპოზიციაც არ გვისმენს?

ოპოზიციას ყველა შემთხვევაში სჭირდება ლიდერი. ლიდერი და არა ბელადი. ოპოზიციის გაერთიანება საუკეთესო საშუალება იქნებოდა...

**— მაგრამ პიროვნული ამბიციების დათმობა უჭირთ. დავიჯეროთ, რომ შალვა ნათელაშვილი ოპოზიციის ლიდერობას ვინმეს დაუთმობს და გვერდზე გადგება?**

— აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რის გარშემო გაერთიანდება ოპოზიცია და არა ვის გარშემო. სულ არის მიზეზად ის, რომ მემარჯვენეები და მემარცხენეები ვერ გაერთიანდებიან. თუ მემარჯვენეები და მემარცხენეები ვერ ერთიანდებიან, ამით აღიარებენ, რომ ქვეყანაში ავტორიტარიზმის პრობლემა არ დგას. თუკი ჩვენი პრობლემაა ის, რომ ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლოები, დამოუკიდებელი მედია არ არსებობს, ადამიანის უფლებები ირღვევა, მაშინ მემარჯვენე და მემარცხენე რა შუაშია?! მემარჯვენეც და მემარცხენეც დიქტატურის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს. თუ ამას ვერ მოახერხებენ, მაშინ დიქტატურაც არ ყოფილა, ასე გამოდის. ჩვენ გვჭირდება გარდამავალი ხელისუფლება, რომელიც დაამარცხებს ავტორიტარიზმს.

ბოლოს და ბოლოს, დასაფიქსირებელია ის, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობიდან მოყოლებული საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით და შედეგისთვის ვერ მიგვიღწევია, რადგანაც არასოდეს ვითვალისწინებთ ორ დიდ მოთამაშეს: დასავლეთსა და რუსეთს, რომელნიც ამ ბრძოლას სხვა ინტერპრეტაციისთვის იყენებენ. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მათი ფაქტორი ყოველთვის უნდა იყოს განხილული. ასევე მთავარია, საზოგადოება მომთხოვნი და კრიტიკული იყოს მთელი ოპოზიციური სპექტრისადმი.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

# ქ. თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება №11-26

**25 სექტემბერი. 2009 წ.**
**07.10.2009წ.**
**010.270.000.36.101.013.627**

### „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა შეტანილ იქნეს ცვლილებები „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი**

## განმარტებითი ბარათი

### „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები განხილულია (4 წინადადება) და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:
წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 4 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

• ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) გადაკეთდეს სატრანსპორტო ზონა 2-ად (ტზ-2).

**კოჯრის გზატკეცილი ოქროყანასთან.** საგარეუბნო მაგისტრალზე მოთხოვნილების შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მოწყობა მითითებული ტერიტორიისათვის ორგანულია და არ იწვევს ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონის მნიშვნელოვან სახეცვლილებას.

• სატრანსპორტო ზონა (ტზ-1) გადაკეთდეს სატრანსპორტო ზონა 2-ად (ტზ-2).

**ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალის გამყოფ ზოლი.** საქალაქო მნიშვნელობის მაგისტრალზე მოთხოვნილების შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მოწყობა შესაძლებელია არსებული პრეცედენტების გათვალისწინებით.

• სარეკრეაციო ზონა (რზ-2) გადაკეთდეს სატრანსპორტო ზონა 2-ად (ტზ-2).

**ჯავახეთის ქუჩა.** საქალაქო მნიშვნელობის მაგისტრალზე მოთხოვნილების შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მოწყობა მითითებულ ადგილას მოსახერხებელია და ამდენად ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია .

• სარეკრეაციო ზონა-1 (რზ-1) გადაკეთდეს მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ საქმიან ზონად (სსზ-2),

**ალექსიძის ქ. №1.** წარმოდგენილია ხელმეორედ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს წინა 11.09.09. გადაწყვეტილებისათვის მომზადებულ ჩამონათვალში 24-ე ნომრით წარდგენილ ობიექტში კორექტული ხარვეზის გასწორების მიზნით.

4. გადაწყვეტილების პროექტის ავტორია ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

5. გადაწყვეტილების პროექტის წარმდგენია ქ. თბილისის მერი.



## მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ






2
სატრანსპორტო ზონა (ტზ-1) გადაკეთდეს სატრანსპორტო ზონა 2-ად (ტზ-2).
ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალის გამყოფ ზოლში.
საქალაქო მნიშვნელობის ავტომაგისტრალზე მოთხოვნილების
შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მოწყობა შესაძლებელია
არსებული პრეცედენტების გათვალისწინებით
მასშტაბი 1 : 2000


3
სარეკრიაციო ზონა 2 (რზ-2) გადაკეთდეს სატრანსპორტო ზონა 2-ად (ტზ-2).
ისანი სამგორის რაიონში ჯავახეთის ქუჩა.
საქალაქო მნიშვნელობის ავტომაგისტრალზე მოთხოვნილების
შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მოწყობის მიზნით.




# დაიჯესტი

## მოსწავლემ აღმოაჩინა



სანკტ-პეტერბურგელმა მეათეკლასელმა მოსწავლემ იულია პოტაპოვამ მეცნიერებისთვის მანამდე უცნობი ანტიბიოტიკი აღმოაჩინა, რომელმაც, შესაძლოა, რევოლუცია მოახდინოს მცენარეთა სახიფათო ინფექციისგან დაცვის საქმეში. კერძოდ, ანტიბიოტიკს უნარი აქვს პამიდვრების ბაქტერიულ კიბოსთან ბრძოლა, რომლისგან მცენარეები, ჩვეულებრივ, იღუპებიან. საგულისხმოა, რომ აღმოჩენა მოსწავლემ მაშინ გააკეთა, როცა ბიოლოგიაში ოლიმპიადისთვის ემზადებოდა.

## სულის მისტიკა



სულის მისტიკური გამოცდილება ბიოლოგიურად რეალურია, ესე იგი მეცნიერულად განზომილებადია. რელიგიურ განცდებს აქვთ ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლები. მაშასადამე, ღმერთი — ესაა ტვინის პროდუქტი. ესაა კიდევ ერთი ახალი მეცნიერების — ნეიროთეოლოგიის (იგი რელიგიურობის გაგებას ბიოლოგიაზე დაყრდნობით ცდილობს) მიმდევართა მტკიცება.

კალიფორნიელი ნეიროფსიქიატრები ჯეფი სეივერი და ჯონ რაბინი მიიჩნევენ, რომ ეპილეპტიკურმა შეტევებმა შეიძლება განაპირობონ ექსტაზის, წმიდად თრთოლვის, სხეულის უქონლობისა და ღმერთის დასწრების შეგრძნება. ბიოლოგიური ფესვები აქვს ყოველ რელიგიურ გამოცდილებას, ამტკიცებენ ექიმი-კარდიოლოგი ენდრიუ ნიუბერგი და მისი კოლეგა, ფსიქიატრიის პროფესორი იუჯინ დაკილი. თავიანთ წიგნში ისინი წერენ: „ღმერთი მხოლოდ ერთ გზას ნახულობს ჩვენს თავში — ნერვული კავშირების გავლით ტვინში აღწევს".

მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ყველა რელიგია მითებზეა დამყარებული, „გარკვეული თვალსაზრისით" კი ტვინში სიბნელის ნაწილი მითის წარმომქმნელი ცენტრის მნიშვნელოვანი ნაწილია.

## ყველაზე „დამპალი"



ინგლისის ქალაქ ჰეტონის ერთ-ერთი კერძო სახლი, ჰეტონ-ჰოლი, ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მთელს ინგლისში ყველაზე პრივილიგირებული სახლი იყო. საქმე ის არის, რომ აქ მცხოვრებ ოჯახს ინგლისის პარლამენტში ორი წარმომადგენლის გაგზავნის უფლება ჰქონდა. ეს პრივილეგია ოჯახს მეფე ჰენრიხ მეექვსეს დროს მიენიჭა და მხოლოდ 1832 წელს გაუქმდა საარჩევნო ოლქების რეფორმების კანონების შესაბამისად. ამ კანონის მიღებამდე ტერმინ „დამპალ ადგილებს" იმ ოლქების აღსანიშნავად ხმარობდნენ, რომლებშიც სულ რამდენიმე ამომრჩეველი იყო, თუმცა პარლამენტში ორი წარმომადგენლის წარგზავნა შეეძლო მაშინ, როცა მილიონობით ინგლისელს, ფაქტობრივად, საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. ჰეტონ-ჰოლს კი „დამპალთა შორის ყველაზე დამპალი ადგილის" რეპუტაცია ჰქონდა იმიტომ, რომ ის დაბა კი არა, მხოლოდ ერთი სახლი იყო.

## სასჯელი... ყვავილებით და წიგნებით

თურქეთის ქალაქ დიარბაქირის სასამართლომ ადგილობრივ მცხოვრებს თავისი მეუღლისთვის ყოველკვირეულად... ყვავილების თაიგულის მირთმევა მიუსაჯა. აღნიშნული სასჯელი მოსამართლემ მამაკაცს ცოლის მიმართ... უყურადღებობის გამო მიუსაჯა.

— მე არ მახსოვს პირველი ცოლის დაბადების დღე, ასევე ჩვენი ქორწინების თარიღი, არც ყვავილები მიჩუქნია მისთვის ოდესმე! — ეს იყო ჰაიერთინ ჩეთინბაშის რეაქცია განაჩენზე. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ცოლის გარდა ჰაირეთინ-ალას კიდევ მეორე, არაოფიციალური ცოლიც ჰყავს. ორივე ქალისგან მას შვიდი შვილი ჰყავს.



ასეა თუ ისე, განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ამიტომ ჩეთინბაშმა დაკისრებული უნდა შეასრულოს. მეტიც: იმის გამო, რომ მამა ცემდა ათი წლის ვაჟიშვილს, მას ბავშვთა აღზრდის შესახებ ხუთი წიგნის წაკითხვა მოუწევს.



## გოლიათების ძმობა

ორი გოლიათი ძმა-წიფელი გერმანიის ქალაქ შვერის მახლობლად ძველი საქარავნე გზის პირას უკვე 200 წელზე მეტ ხანს დგანან ასე ჩახუტებულნი.

**ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნას**

***ეს ღიმილი ნაცნობი და მახლობელია მთელი საქართველოსთვის... ალექსანდრე (ბუთხუზ) ბასილაიას ალალი, ალერსიანი ღიმილი... ეს ღიმილი ამშვენებს გარეკანზე ახლახან გამოცემულ წიგნ-ალბომს, რომელშიც შესულია ჩვენი ნარკვევი „იცოცხლე, მაესტრო“, ბრწყინვალე ქართველ კომპოზიტორსა და მუსიკოსს, ანსამბლ „ივერიის“ დამაარსებელსა და სამხატვრო ხელმძღვანელს რომ ეძღვნება და რომლის წაკითხვა, ანუ წიგნის ხელში აღება ვერც მოასწრო მძიმე ავადმყოფმა...***

***...ჩაქრა ეს ღიმილი...***

***ამ სამი თვის წინათ ბატონებმა — ანზორ ერქომაიშვილმა და ვახტანგ როდონაიამ (რომლებიც გვერდში უდგანან ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს ბატონ გოდერძი ბუკიას, რათა, უკვე ტრადიციად ქცეული ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“, უნაკლოდ გაიმართოს ხობში) საპასუხისმგებლო და, როგორც მერე აღმოჩნდა, ჩემთვის ძალზე სასიამოვნო საქმე მანდეს: 19-20 სექტემბერს, ხობში, უკვე რიგით მეოთხე ფესტივალი იმართება, ბუთხუზ ბასილაიას ბენეფისია დაგეგმილი და სასწრაფოდ მასზე ერთი კარგი ნარკვევი უნდა დაწერო, რომელიც ცალკე წიგნად გამოვაო, ცოტა დროა დარჩენილი სექტემბრამდე, თანაც ბუთხუზი ვერ არის კარგად, გერმანიაშია სამკურნალოდო...***

***ამით ყველაფერი თქვეს ჩემმა ძვირფასმა მეგობრებმა... მოკლედ, დავიწყე მასალების შეგროვება, ამასობაში ბუთხუზიც ჩამოსულიყო გერმანიიდან, ვეწვიე სახლში, ვისაუბრეთ და ეს გახდა, ფაქტობრივად მისი უკანასკნელი ინტერვიუ, რომელიც წიგნშია შესული და დღეს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.***




# იცოცხლებ, მაესტრო!

## ხელოვნის უკანასკნელი ინტერვიუ

საბედნიეროდ, ბევრჯერ შევხვედრივარ ბუთხუზ ბასილაიას, ანსამბლის წარმატებებისგან გაბადრული რომ მესაუბრებოდა, ხან კულისებში, ხან კაბინეტში — დიდი საკონცერტო დარბაზის შენობაში, ხან ინტერვიუსთვის, და, ზოგჯერ, რა დასამალია, ბილეთებისთვის მისულს; შევხვედრივარ სამეგობრო სუფრასთანაც პურმარილზე, გამომიქვეყნებია მასალები „კომუნისტსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“. ასე იყო, მაგალითად, მაშინ, როდესაც იგი თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს 2002 წელს, ასე იყო მისი დაბადების 60 წლისთავზე...

და აი, ახლა სახლში უნდა ვეწვიო.

კარს ქალბატონი ლუიზა მიღებს — სევდიანი, ფიქრიანი.

ღია ლოჯიაში ზის ბუთხუზა, აქ შესამჩნევად გრილა. მოვიკითხეთ ერთმანეთი. იქვე, მაგიდასთან ჩამოვჯექი.

გერმანიაში ყოფნაზე არაფერს ვეკითხები.

— ვერ გეძახი „ბუთხუზას“, კაცო, მეუხერხულება...

— არა უშავს, ახლობლებისთვის და ნაცნობ-მეგობრებისთვის მთელი ცხოვრება ბუთხუზა ვარ... ის კი არა, სახლში ვინმე რომ დამირეკავდა, „ალექსანდრეს თხოვეთო“, დედაჩემი მამაჩემს ეძახდა, იმასაც ალექსანდრე ერქვა...

— ეტყობა, ჩაბუთხუზებული ბავშვი იყავი.

— არც ისე, ბებიაჩემმა შემარქვა რატომღაც და შემრჩა და შემრჩა.

— ბებია ახსენეთ... თქვენი ფესვი კოლხეთშია არა?

— დიახ, მარტვილში, სალხინოში. მამა ფოთში დაიბადა, მე — თბილისში, თუმცა ბავშვობა და ყმაწვილკაცობა ტყიბულში გავატარე. მამა მეშახტე-ინჟინერი იყო და... ერთ წუთს, ახლავე მოვალ...

აქამდე სამზარეულოში მოფუსფუსე ქალბატონი ლუიზა შემოდის და გაფაციცებით, ხმადაბლა მეკითხება:

— რას იტყვით, როგორ გამოიყურება?

— ოდნავ სუსტადაა, მაგრამ, რაც მთავარია, მხნედაა.

— რა ვიცი, იმედი მოგვცეს, თანდათან გამოკეთდებაო.

— აბა, რა იქნება!

ქალბატონი ლუიზა ისევ ფეხაკრეფით გადის და მალე ბუთხუზა შემოდის, ალბომი შემოაქვს.

— აი, ამაშია ჩვენი გზა, ძმაო, სიმამრი აკრავდა შიგ ფოტოებს, რეცენზიებს.

ერთ-ერთ გვერდზე გადავშალე. აგერ, რუსი პოეტი იური რიაშენცევი წერს სწორედ ალექსანდრე ბასილაიას შესახებ: **„რა თქმა უნდა, იგი ბრწყინვალე თვისების მქონეცაა კინოსა და თეატრისთვის — სრულყოფილად ფლობს მუსიკალურ დრამატურგიას“.**

— ტყიბულზე საუბრობდით...

— ჰო... ჩემი პირველი და ბოლო სიყვარულის ქალაქი ეგ იყო (მეორე ოთახში მყოფ ქალბატონ ლუიზაზე მანიშნებსძ... 17-18 წლისანი ვიყავით, სახლიდან რომ გავიპარეთ და ჩუმად მოვაწერეთ ხელი. სკოლიდან გვიყვარდა ერთმანეთი. სკოლის თვითშემოქმედებაში მე პიანინოზე ვუკრავდი, ეგ მღეროდა... გადმოვედით თბილისში, ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით კარგა ხანს... „ჩხიკვთა ქორწილი“ იქ შეიქმნა. საერთოდ, სიმდიდრე არასდროს გვიძებნია... ასე გვზრდიდნენ მშობლები.

— დედა რა გვარის ქალი იყო?

— ხოშტარიასი, მამამისი ანუ ბაბუაჩემი ივანე ხოშტარია ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი


ერთ დროს ბედნიერები იყვნენ... ბუთხუზი და ლუიზა

იყო. 24 წელში დაუხვრეტიათ, დედაჩემი 4 წლისა ყოფილა მაშინ, მომდევნო ძმა 2 წლის, ხოლო პატარა ქაქუცა — დიდი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათლული — 6 თვის. არ წაჰყოლია ბაბუაჩემი ღამით თურქეთში მიმავალ ქაქუცას. დაგეწევითო და დილით, ცხადია, ვიღაცის დასმენით, აიყვანეს... ჰოდა, ბებიამ წვალებით გაზარდა სამი შვილი.

— მუსიკალური ნიჭი ვისგან გამოგყვათ?

— მამაჩემს უყვარდა სიმღერა... ხომ გახსოვთ ცნობილი მუსიკათმცოდნე პავლე ხუჭუა?

— როგორ არა!

— ჰოდა, მეგობრები — მამაჩემი ვიოლინოთი, ხოლო ბატონი პავლე — გიტარით, ერთად დადიოდნენ თურმე ალილოზე. პავლე ხუჭუას ინიციატივით გავყევი მუსიკას, ტყიბულში ვუკრავდი პიანინოზე, მუსიკალური სკოლა არ დამიმთავრებია. კონსერვატორიაში სმენა გამისინჯეს და საქსოფონის განხრით მიმიღეს. სამი რექტორი გამოვიცვალე — ტუსკია, თაქთაქიშვილი, ცინცაძე...

— რათა, კაცო?!

— რა ვიცი, გამრიცხეს რამდენჯერმე. თან ვმუშაობდი, ოჯახს ვინახავდი. ასე „ვქაჩავ“ მთელი ცხოვრება... ახლა რომ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზია, თუ გახსოვთ, მანდ აგურის შენობა იდგა, იქ რაღაც დაწესებულებაში ვმუშაობდი. ისე, სიმბოლური კია, მერე თითქმის მთელი ცხოვრება იმ ადგილას აშენებულ საკონცერტო დარბაზში გავატარე. ვწვალობდი... ქუჩას შევეშვი... შეიცვალა ცხოვრება. არანჟირების ნიჭი აღმომაჩნდა. „ორერას“, „დიელოს“ ვეხმარებოდი არანჟირებაში... ოჯახი თავისას ითხოვდა.

— ანრი როგორ არის? (ვაჟიშვილზე ვეკითხებიძ.

— პარიზშია, ნიჭიერი მხატვრის სახელი აქვს, გამოფენებსაც აწყობს...

ქალბატონი ლუიზა ჩუმად შემოსულა და საუბარში ერთვება, თან თავზე ნაზად ეფერება, ეხუტება მეუღლეს.

— ოთხი შვილიშვილი გვყავს, უმცროსს ალექსანდრე ჰქვია. ინტერნეტში ნახეს ბაბუა წითელი პერანგით და გაუხარდათ, ლურჯი არ ჩაიცვა, ბაბუო, — უთხრეს.

— ოპერაციის წინ მეცვა და ის ახსოვდათ, — ამატებს ბუთხუზა, თან ლუიზას ანიშნებს, გვაცალეო და განაგრძობს:

— ...მერე შევიკრიბეთ მე, ჯემალი, ვახო. მოვილაპარაკეთ და დავიწყეთ. სიმღერებს არავინ გვიწერდა და თავად მოვსინჯე, პირველი სიმღერა — „რა ტკბილია და რა მწარე ზღაპარი სიყვარულისა“ ლუიზას მივუძღვენი...

— „ზემოთ“ არ ეუცხოვათ მიუზიკლი — სრულიად ახალი სიტყვა ქართულ ესტრადაზე?

— დიდი ამბავი იყო „ჩხიკვთა ქორწილის“ გასინჯვაზე... 1979 წლის 28 დეკემბერს პრემიერაა, 27-ში მოვიდა კულტურის სამინისტროს კომისია. შეჰყურებენ, არავითარი რეაქცია არა აქვთ. მანამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეს არიები ყველას ჰქონდა მოსმენილი, მოწონებულიც... ახლა რა ხდება? გია ყანჩელმა — დაგისტვენთ ხალხიო, აჰყვნენ დანარჩენები, ხვალ თქვენი ჩავარდნის დღეაო. არადა, მანამდე აქვთ მოსმენილი, რამ გაუფუჭათ ხასიათი? იქნებ, რეჩიტატივები არ მოსწონთ? ამოვიღეთ და მართლაც წავიდა მიუზიკლი „ურაზე“. იმ წელიწადს 113 სპექტაკლი გავმართეთ. ეს იყო თანამედროვე მუსიკა, მოსწონდათ ახალგაზრდებს. დიდი როლი ითამაშა ჯემალმა, საერთოდ, მას უყვარს შეჯანჯღარება, ყურებს არ ჩამოყრის ხოლმე...

— მე არ ვიცი, „ივერიის“ პოპულარობის რეკორდს ვინ მოხსნის...

— ჰო, კარგი დრო იყო, წერტილიც დროზე დავსვით.

— წერტილი?

— რა თქმა უნდა, აქტიურ ცხოვრებას შევეშვით... ყველაზე დასანანი ის არის, რომ ამ ჟანრის განვითარების მსურველებს ვერ ვხედავ. რაზე გაიწვალონ თავი? მოძალებულია ტელევიზია, ინტერნეტი. რაღაც მელოდიას დაიჭერ, „შეაკეთებ“, შეუცვლი სიტყვებს და გახვალ იოლას, ამიტომაც სიტყვებიც ერთმანეთს ჰგავს, არადა, კომპოზიტორი ხომ საკუთარი მელოდია და საკუთარი ხასიათია. 2003 წელს „ჩხიკვთა ქორწილი“ დავდგით მოსკოვში, ცირკის არენაზე, მე და ჟენია გინზბურგმა. 300-400 კაციდან 35 ავარჩიეთ. დავპატიჟე კობზონი, ხაზანოვი... წლის საუკეთესო მუსიკალურ სპექტაკლად აღიარეს მოსკოველებმა.

ისევ გვიერთდება ქალბატონი ლუიზა.

— ბედნიერები ხართ? (ოდნავ იღიმიანძ.

— იცით, რა თქვა ებრაელმა, როცა ჰკითხეს, რა არის ბედნიერებაო? — რა და, სიამოვნებით რომ მიდიხარ სამსახურში და სიამოვნებით რომ ბრუნდები სახლშიო... ახლა აღარ მივდი-მოვდივარ, მაგრამ ხანდახან როიალს მივუჯდები და რაღაცეებს ვთხზავ, ჩემს უსაყვარლეს ადამიანთან ვარ.

ვხედავ, ცრემლი ერევათ.

— დიდი დრო გავიდა, ოქტომბერში შეუღლების 50 წლისთავი გვაქვს!

— გვეზეიმოს! წავალ ახლა, მეტს აღარ შეგაწუხებთ, თუ რაიმე დამჭირდა, დაგირეკავთ.

— იცოცხლე, ჩემო ვილენ! აბა, შენ იცი, შენებურად!

ვეშვები საირმის გორიდან. ვჯდები ატობუსში. ჯერჯერობით ჩემს გარდა არავინაა სალონში. ცხელა.

ისევ ჩემს მასპინძლებზე ვფიქრობ, ქართული საესტრადო მუსიკის ორ ღვაწლმოსილ პიროვნებაზე, ნიადაგ სიყვარული რომ დაატარებთ ამ ქვეყნად.

მერე, ბიჭოს, ლექსის მუზა შეუმჩნევლად ამოდის ავტობუსში, უცებ ვინიშნავ ფურცელზე სტრიქონებს და ტრანსპორტიდან ჩასვლისას ბუთხუზ ბასილაიასადმი მიძღვნილი აი, ეს ლექსი-ექსპრომტი მიმაქვს:

**ვინც ბილეთი იშოვა და**
**თქვენს კონცერტებს დაესწრო,**
**სილაღეს და სიხალისეს**
**აზიარეთ, მაესტრო!**
**იმათ შორის მეც ვიყავი**
**და სხვებს რომ არ დაესწრო,**
**ინტერვიუს კულისებში**
**კრძალვით გთხოვდით მაესტრო!**
**და თუ შესძლო „ივერიამ“,**
**რომ დროისთვის გაესწრო,**
**დასტურ, თქვენი დიდი ნიჭის**
**წყალობაა, მაესტრო!**
ალალ იყოს, ჩვენო ბუთხუზ!

* * *

**რამდენიმე სათაური მოვსინჯე ნარკვევისთვის, ბოლოს, „იცოცხლე, მაესტრო!“ დავარქვი, მოეწონათ შემკვეთებს — სევდიან განწყობილებას ესადაგებოდა... ვერ უშველა ჩვენმა სურვილმა წერამწერლის განაჩენს — 67 წლის ასაკში წაიყვანა უნიჭიერესი შემოქმედი... რას ვიზამთ, ყოველთა შემმუსვრელი სიკვდილის წინაშე უძლურია კაცთა მოდგმა...**

**შენ დიდი სიცოცხლით იცოცხლე, მაესტრო!**

**შენ უკვე წუთისოფლიდან მარადიულში ხარ გადასული, მაესტრო!..**

**შენი შემოქმედება, შენი უზადო მელოდიები თაობებს გაჰყვება!..**

**...და შენ იცოცხლებ, მაესტრო!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ მუნდიალ – 2010

## კუპერის დაისი?




**დღეს დილით საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩერნოგორიაში გაფრინდა, სადაც ხვალ პოდგორიცაში „მუნდიალ-2010“-ის შესარჩევი ტურნირის ბოლოსწინა მატჩს იქაურ გუნდთან გამართავს. შეგახსენებთ, რომ პირველი წრის შეხვედრა თბილისში ფრედ — 0:0 დასრულდა.**

გამგზავრებამდე „ჯვაროსნებმა“ რამდენჯერმე თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მინდორზე ივარჯიშეს. მუხლის ტრავმა მხოლოდ ზურაბ ხიზანიშვილს აწუხებს, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, სერიოზული არაფერი ყოფილა და „ნიუკასლის“ მცველი პარტნიორებს აუცილებლად დაეხმარება პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად.



საპირისპირო სურათია მასპინძელთა ბანაკში. კერძოდ, ზორან ფილიპოვიჩის კრებულს ტრავმების გამო დაცვის ბურჯი სავო პავიჩევიჩი და მთავარი დამრტყმელი ძალა, კაპიტანი და ბომბარდირი მირკო ვუჩინიჩი დააკლდებათ, რომელსაც ამავე მიზეზით არც თბილისში უთამაშია.

დავძენთ, რომ ხვალინდელ მატჩს ბერძენ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება, მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს კი 21 საათიდან „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ შემოგთავაზებთ.

* * *

ალბათ, გაინტერესებთ, ვინ ხელმძღვანელობს ქართულ დელეგაციას. გიპასუხებთ, რომ, ყოველ შემთხვევაში, ეს არაა სფფ ახალი პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, რომელიც სამშობლოში რჩება. მეტიც, იგი თანამემამულეთა ვარჯიშებზეც კი არ გამოჩენილა, რითაც ყველას აგრძნობინა, რომ კუპერთან თანამშრომლობას არ აპირებს.

◉ ყიფიანის თასი

## წილი ნაყარია

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების მერვედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:**



„ბაია“ – „სიონი“, „ჩიხურა“ – „ოლიმპი“, „ტორპედო“ – „ზესტაფონი“, 35-ე სკოლა – „დინამო“, „კოლხეთი“ – „გაგრა“, „მერცხალი“ – „ცხინვალი“, „მერანი“ – „სამტრედია“, „ლოკომოტივი“ – „ვიტ ჯორჯია“.

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე გუნდები ერთმანეთს ერთხელ შეხვდებიან – 20 და 21 ოქტომბერს. აღნიშნული მატჩები 14 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

◉ თარიღი

## ტკივილად ქცეული სიხარული

**ბრაზილიელებმა გარინჩას ხალხის სიხარული შეარქვეს. ვიტალი დარასელიას სახით ჩვენც გვყავდა ადამიანი — სიხარული, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი სახელი 1982 წლის 13 დეკემბრის შემდეგ უდიდეს ტკივილად გვექცა — ოჩამჩირელი ვაჟკაცი ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა.**

ბედის ირონიაა, აბა რა, რომ საყვარელი პარტნიორის საფლავზე ცრემლის დაღვრის საშუალება, უკვე კარგა ხანია აღარა აქვთ მის თანაკლუბელებს. იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველთა და აფხაზთა გაუცხოებას მალე დაესმება წერტილი და დიუსელდორფის გმირის საუკუნო განსასვენებელი მათი შერიგების სიმბოლო გახდება.

დღეს ვიტალის 52 წელი შეუსრულდებოდა.



◉ გრან-პრი

## ბოლო ტურის წინ

**ჩინურ ნანძინში დღეს დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა სუპერტურნირები, რომლებიც ფიდეს ეგიდით იმართება. მანდილოსნებში ბოლო ტურის წინ ჩინელი სიუ იუჰუა 7,5 ქულით დაწინაურდა. გუშინ მან რუსი ბაირა კოვანოვა დაამარცხა.** ლიდერთან გათანაბრების შანსი ჰქონდა ნანა ძაგნიძეს, მაგრამ ქართველი დიდოსტატი მონგოლ ბაქჰუიანგ მონგონთუულს დაუზავდა და 7 ქულით გათამაშების ცხრილში მეორე ადგილი უკავია. 6-ქულიანმა მარი სებაგმა (საფრანგეთიძ გუშინ ზედიზედ მეორე მარცხი იგემა, ამჯერად მასპინძელ ჟაო სიუსგან. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: შენ იანი — ჟუჩენი 1:0, ლილით მკრტიჩიანი — ბეთულ ილდიზი 1:0, მარტა ფიერო — ცზიუ ვენცზიუნი 0:1.

მამაკაცების ტურნირში 6 დიდოსტატი მონაწილეობს. ქალებისგან განსხვავებით, აქ გუშინვე გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა: ერთპიროვნული ლიდერი მაგნუს კარლსენი თეიმურ რაჯაბოვს დაუზავდა და 7 ქულით პირველობაც გაინაღდა. დანარჩენი ორი შეხვედრაც (ვენ იუ-ვესელინ ტოპალოვი, დმიტრი იაკოვენკო — პეტერ ლეკოძ ყაიმით დამთავრდა. 5 ქულით მეორეზეა ტოპალოვი, იაკოვენკომ და ვენ იუმ 4-4 ქულა, ხოლო ლეკომ და რაჯაბოვმა ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს.

◉ ჭიდაობა

## უკრაინული ნადავლით

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები ნუგზარ სხირელის ხელმძღვანელობით უკრაინაში იმყოფებოდა საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი.**

ჩვენმა ბიჭებმა ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თენგიზ ჩოჩიშვილი (60 კგ.ძ, მეორე ადგილებს დასჯერდნენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55ძ, დავით ხუციშვილი (74ძ და დავით მარსაგიშვილი (96ძ, ხოლო გიორგი საკანდელიძესა და ლევან ბერიანიძეს (ორივე — მძიმე წონაძ მესამე ადგილები ხვდათ.

◉ ჭადრაკი

## დაწინაურდნენ ევროპის ჩემპიონები

**ოჰრიდში (მაკედონია) გრძელდება მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის „სამაიაც“ მონაწილეობს.**

ქართველმა დიდოსტატმა ქალებმა (მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, სალომე მელიაძ შეჯიბრების სტარტზე ზედიზედ დაამარცხეს სერბეთის ბას-ი და ჩერნოგორიის „პოდგორიცა“, ბოლო ორ ტურში კი ვიდნოეს „სპარტაკსა“ და სარატოვის „ეკონომისტს“ დაუზავდნენ. მეოთხე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „პოდგორიცა“ (ჩერნოგორიაძ — „პოლონია“ (პოლონეთიძ 2:2, „რადნიკი“ (სერბეთიძ — „მონტე კარლო“ (მონაკოძ 0:4, „სპარტაკი“ (რუსეთიძ — „პოლიტექნიკა“ (რუმინეთიძ 3:1, ბას (სერბეთიძ — „ვანდუვეში“ (საფრანგეთიძ 3:1.



ოთხი ტურის შემდეგ 6-6 ქულით პირველ-მესამე ადგილებს ორგზის ევროპის ჩემპიონი „მონტე კარლო“ (12ძ, „სპარტაკი“ (11ძ და „სამაია“ (9,5ძ ინაწილებენ (ფრჩხილებში მითითებულია მოჭადრაკეთა მიერ ინდივიდუალურად მოპოვებული ქულების ჯამიძ.

ვაჟებში რვა-რვა ქულა აქვთ რუსეთის „ეკონომისტს“, მაკედონიის „ალკალოიდსა“ და სომხეთის „მიკას“.

◉ ინტერნეტიდან




## რობერტო კარლოსი „რეალზე“ ოცნებობს

**თურქული „ფენერბახჩეს“ ბრაზილიელ მცველს რობერტო კარლოსს ესპანეთის სამეფო კლუბში, მადრიდის „რეალში“ დაბრუნება უნდა და მზადაა, იქ უფასოდ ითამაშოს. — ამას ესპანური პრესა იუწყება.**

1997 წლიდან 2007 წლამდე კარლოსი „რეალის“ შემადგენლობაში 475-ჯერ თამაშობდა და 62 გოლიც გაიტანა. ახლა ის თურქული გუნდიდან წასვლას დეკემბერში აპირებს.

„მე ვამჯობინებ, ნახევარი წელიწადი „რეალში“ უფასოდ ვითამაშო, — იმოწმებს 36 წლის ფეხბურთელის ნათქვამს სააგენტო Reuters — იანვრიდან ივნისამდე, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ შევძლებ უფრო დიდხანს თამაშს“.

კითხვაზე — სერიოზულად ფიქრობს თუ არა მადრიდში უფასოდ მოწყობის ვარიანტზე — კარლოსმა უპასუხა „რასაკვირველია, მე ეს მინდა. მე ხომ რამდენიმე დიდებული წელი გავატარე მადრიდში. ის ჩემს სახლად მიმაჩნია“. ამავე დროს ისიც თქვა, რომ თუ კი არ მოხერხდება „რეალში“ მოთამაშედ დაბრუნება, მაშინ მზადაა, გახდეს მწვრთნელი მისი ახალგაზრდული გუნდისა“.

შეგახსენებთ, სამეფო კლუბში ყოფნისას რობერტო კარლოსი ოთხჯერ იყო ესპანეთის ჩემპიონი, სამჯერ კი გუნდთან ერთად მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

## დრო კარგად გაატარეს?



**ჩოგბურთის მოყვარულებს კარგად დაამახსოვრდათ არგენტინელი ჩოგბურთელი ხუან მარტინა დელ პეტრო, ბოლო ხანებში რისხვად რომ მოევლინა პლანეტის პირველ ჩოგბურთელებს — ესპანელ ნადალსა და შვეიცარიელ ფედერერის, თანაც აშშ ღია ჩემპიონატის გამარჯვებულიც გახდა. ახლა კი მის კიდევ ერთ „გამარჯვებაზე“ უნდა გაცნობოთ, თუ რა იოლად მოინადირა ბრაზილიელი მოდელის ლოლა ბეზერას გული.**

აი, რას წერს ეს ლამაზმანი ქალიშვილი: „მან შემატყობინა, რომ მოეწონა ჩემი ფოტოსურათები. მას შემდეგ ჩვენ მიმოწერა დავიწყეთ. იმ დღეს, როდესაც მან US Open მოიგო. მე მას კომპიუტერით მივულოცე, ხოლო როცა არგენტინაში დაბრუნდა, მაშინვე დავურეკე და ვახშამზე დავპატიჟე. შემდეგ კი მასთან წავედით“.

ლოლა შემდეგ აღარ დაწვრილმანებულა. ფაქტი კი ისაა, რომ მათ საღამო დიდებულად გაატარეს.

## გენდერული ტესტები რა შუაშია?!

**როგორც იოჰანესბურგიდან იტყობინებიან,** აფრიკული ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობამ – ის კი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაციაა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – განაცხადა, რომ, მათი აზრით, 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ქალებში 800 მეტრზე სირბილში კასტერ სემენიამ უნდა გაგრძელოს გამოსვლები სპორტში, ქალ მძლეოსანთა შეჯიბრებებში ყოველგვარი გენდერული ტესტების მიუხედავად.



◉ პროტესტი

# ხელისუფლება ტყეებს უჩუმრად ყიდის

**გუშინ ეკონომიკის სამინისტროში საჯარო აუქციონი გაიმართა, რომელზეც ოფიციალურ და ყველაზე მნიშვნელოვან ლოტად რაჭა-ლეჩხუმის ტყეები იყო გამოტანილი. ახალმა მინისტრმა ტყეების გაყიდვა შესაშური სიმარდით განაახლა, რასაც ლეიბორისტულ პარტიაში გამოეხმაურნენ. ისინი დიდი ხანია აპროტესტებდნენ ტყეების გაყიდვას და ეკონომიკის სამინისტროსთან რამდენიმე გამაფრთხილებელი აქციაც გამართეს.**

აქცია გამართეს გუშინაც, რომელზეც ითხოვდნენ, რომ თვითონაც დასწრებოდნენ აუქციონს. იმის მიუხედავად, რომ ეს პროცედურა საჯარო იყო, ის მაინც ეკონომიკის სამინისტროს საგულდაგულოდ ჩაკეტილ კარს მიღმა მიმდინარეობდა და მასზე დასწრების უფლება არავის მისცეს. შენობაში შესასვლელად საშვი ყოფილა საჭირო, მაგრამ რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, გუშინ არც საშვთა ბიურო მუშაობდა. ლეიბორისტები ჟურნალისტებთან კომენტარებით შემოიფარგლნენ.

**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:** — აი, ასეთი დახურული ციხე ააშენა სააკაშვილმა. ჩაკეტილი კარების მიღმა ჰყიდის ჩვენი და ჩვენი შვილების საკუთრებას. დღეს კიდევ ერთხელ არღვევენ კანონს, არა მარტო იმით, რომ ტყეებს ყიდიან, არამედ იმითაც, რომ საჯარო აუქციონზე დასწრების უფლებას ხალხს არ აძლევენ. კანონმდებლობის მიხედვით, მსგავსი პროცესები საჯარო და გამჭვირვალე უნდა იყოს, მაგრამ ამათ ეშინიათ, რადგან სულ მალე თვითონაც დაკეტილ კარში აღმოჩნდებიან და იქიდან თავს ვერ დააღწევენ. დღეს რაჭის ტყეებს ყიდიან, ჩუმჩუმად, პატარა ნაკვეთების გაყიდვით დაიწყეს და ახლა მადა გაეზარდათ. სჯობს დროულად ამოვიღოთ ხმა, თორემ ძალიან მალე სამშობლო აღარ გვექნება და ჩვენი შვილების მომავალს საფრთხე დაემუქრება. ჩვენ არ შევწყვეტთ საპროტესტო აქციებს და ამ უკანონო აუქციონის შედეგებსაც აუცილებლად გავასაჩივრებთ. ამ უსამართლო ქვეყანაშიც კი შევძლებთ, რომ აუქციონი გავაბათილოთ.





**ნესტან კირთაძე, ლეიბორისტული პარტიის წევრი:** — ამას წინათ გამართულ მსგავს აუქციონზე, აზერბაიჯანის მოქალაქემ, ბიზნესმენმა სიმართლის მოსმენის შემდეგ აუქციონი დატოვა და განაცხადა, რომ მსგავს უსამართლობაში მონაწილეობას არ მიიღებს. დავიჯერო ამ ადამიანს უფრო უყვარს საქართველო, ვიდრე ქართველებს? ამიტომ ხმა უნდა ამოვიღოთ და ერთხელ და სამუდამოდ დავამთავროთ ეს უსამართლობა საქართველოში.

ლეიბორისტები იმუქრებიან, რომ არა მარტო საპროტესტო აქციებს გამართავენ, არამედ შესაბამის უწყებებსაც მიმართავენ. მანამდე კი მათი სიტყვები რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

**ანა წიწილაშვილი**

◉ სამეგრელოს მხარე

# რატომ აკონტროლებენ მიზანმიმართულად საწარმოებსა და სავაჭრო ობიექტებს?

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკის თავისუფლების აქტის პარალელურად ზუგდიდში საპირისპირო პროცესები მიმდინარეობს.**

საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები მოულოდნელად დაერივნენ ზუგდიდში განლაგებულ სავაჭრო ობიექტებს და ერთმანეთის მიყოლებით დალუქეს ისინი. პირველ ეტაპზე — 25-მდე მაღაზია დაკეტეს. მოსალოდნელია მეორე და შემდგომი „ეტაპების" განხორციელებაც! ორი კვირაა ფოთსა და ზუგდიდს შორის (საგადასახადო ინსპექციის სათაო ოფისი ფოთშია) დარბიან და გამოსავალს ეძებენ. მათ ბრალი დასდეს აღურიცხავი საქონლით ვაჭრობაში. მათი ყოველდღიური აღრიცხვის შემდეგ, ვაჭრებს ასევე ყოველდღიურად დარჩენილი საქონლის ნაშთი უნდა ეჩვენებინათ. არადა, მსგავსი რამ მათთვის არასოდეს მოუთხოვიათ. როგორც ექსპერტები და თვით მეპატრონეები აცხადებენ, ასეთი მოთხოვნის შესრულება ფიზიკურად შეუძლებელია. თვით საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებიც ვერ არიან გარკვეულნი, თუ რა სახის შემოწმებები ჩაატარონ, „ზევიდან" მიღებულ ვალდებულებებს ასრულებენ, ამიტომ მეწარმეებთან ერთად ისინიც გამოთქვამენ უკმაყოფილებას. და თუ ასე გაგრძელდა, იძულებულნი იქნებიან, სამსახური დატოვონ, არადა მათ თავიანთი თანაქალაქელების გადამტერება მოუწევთ. მეთოდი ახალია, რაც საჭიროებს სავაჭრო ობიექტების სრულ კომპიუტერიზაციას, ჯარიმებიც სოლიდურია. ამ ახალი შემოწმების შემდეგ მეწარმეს, ფაქტიურად არაფერი რჩება მოგება, რაც სავაჭრო ობიექტების გაკოტრებას და მათ დახურვას მოასწავებს.

გავრცელებული ვერსიით, მიმდინარეობს შპს ენგურჰესის გაკოტრების პროცესიც, რაც მისი გაყიდვის, გასხვისების საუკეთესო საშუალებაა. როგორც ამბობენ, შპს ენგურჰესს მილიონობით ლარის დავალიანება გააჩნია. ფერხდება ხელფასების გაცემა. ერთობ გასაკვირია, ამ უნიკალურ საწარმოს, ქართული ენერგეტიკის ფლაგმანს ასე უჭირდეს და ვალებში იხრჩობოდეს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

◉ სიახლე

# ეროვნული ბიბლიოთეკის განახლებული კორპუსი გაიხსნა

**გუშინ საქართველოს ევრონული ბიბლიოთეკის განახლებული — მესამე კორპუსი გაიხსნა, სარეკონსტრუქციო-სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც 2006 წელს დაიწყო, ბიბლიოთეკის მუშაობისთვის ყველა თანამედროვე პირობას აკმაყოფილებს.**

გარემონტდა მთლიანად კორპუსი, საცავები და სამკითხველო დარბაზები, სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა საგამოფენო დარბაზშიც და ისტორიულმა შენობამ პირვანდელი სახე დაიბრუნა. მთლიანად შეიცვალა სახურავი, დამონტაჟდა გათბობის, კონდიცირების, სავენტილაციო თანამედროვე სისტემები... ეროვნული ბიბლიოთეკა მკითხველს მალე ახალ სიახლესაც შესთავაზებს. განახლებულ კორპუსში ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის სამკითხველო დარბაზი გაიხსნება, ასევე — ორიენტალისტიკის სამკითხველო დარბაზი და საბავშვო ცენტრი ბავშვებისთვის. ცნობილია ისიც, რომ მალე საქართველოში პირველი სამკითხველო დარბაზი ამოქმედდება, რომელიც უნარშეზღუდულ ადამიანებს მოემსახურება. აუდიტორია 60 მსმენელზეა გათვლილი. ეს შენობა ეროვნულ ბიბლიოთეკას 1987 წელს გადაეცა. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა თბილისის მოდერნის სტილით ნაგებ შენობათა შორის, რომელიც 1910 წელს ოჰანჯანოვისა და გოლენისჩეკის პროექტით აშენდა.



**ხატია მუსერიძე**

◉ წკეპლიკა

# დედა, ბიჭო, რას დადიან და როგორ გვაბოლებენ!..

**ორშაბათ დილა გათენდა, რა კარგი დარი დგებაო... ბინაში ვტრიალებ, ქალაქში გასასვლელად ვემზადები, თან ტელეეკრანისკენ მაქვს ყური: ერთი მინისტრი ჟენევიდან წუხელ დაბრუნებულა (გვიან ღამით, რასაკვირველია), მეორე მინისტრი ადრიან დილით აშშ-ში გაფრენილა (გაფრენილან, თორემ მეტი იყვნენო...).**

ის ერთი მინისტრი შვეიცარიაში თურმე მასპინძლებს ჩვენს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა მდგომარეობას აცნობდა; ახლა აქ, ახმეტაში ჩეჩენი ლტოლვილების რეგისტრაციას იწყებენ, თბილისში — ორი რუსი დევნილისა (ყველა დანარჩენი ჩვენი ლტოლვილის საქმეები ხომ უკვე მოაგვარეს!..ძ.

ის მეორე მინისტრი ვაშინგტონში ჰენრი კისინჯერის მიერ ორგანიზებულ რაღაც კონფერენციას დაესწრება (საერთაშორისოს, ცხადია!ძ, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა და პატიმართა მდგომარეობისადმი მიძღვნილს; საგარეო საქმეთა დეპარტამენტს ეწვევა, ჩვენს სასჯელაღსასრულებელთა და სასჯელმომხდელთა, აგრეთვე სატუსაღოთა შესახებ მიაწვდის ინფორმაციას (ნეტავ რა უნდა ილაპარაკოს, როცა საბრალო პატიმრებს თურმე ნახევარი ზეწრის ოდენა ფართობზე რიგ-რიგობით ძინავთძ მერე, რომ ჩამოვა, ეკრანიდან დამიწყებს კეკლუცობას — ამას შევხვდი, იმას შევხვდი და ძალიან სასარგებლო ვიზიტი გამომივიდაო (წუხელ გვიან ღამით ჩამოსულმა უკვე იკეკლუცა...ძ.

ერთი სიტყვით და ორი წინადადებით, მიდიან, მოდიან და ასე ჰგონიათ... რომ რამეს აკეთებენ; ხოლო თუ აკეთებენ, რატომ არაფერი არ ეტყობა მათს დარგებსა და სხვა მოგრიალე დიდჩინოსნებსაც თუ გავიხსენებთ, უმოგრიალესე და უმაღლესჩინოსნის მეთაურობით, რატომ არ ეტყობა საერთოდ ცხოვრებასა და ქვეყანას; სახელმწიფო ბიუჯეტსა და ჩემს ჯიბეს კი ემჩნევა...

ხსენებაზე, დღეს, ორშაბათს, 15 საათზე პარლამენტის ბიურო იკრიბება და 2010 წლის ბიუჯეტს განიხილავსო; აბა თქვენ იცით, ბაქრაძელებო, რამდენ მილიონ ლარს გაწერთ ქვეყნის ბიუჯეტში უცხოეთში ხელისუფალთა მისავლინებლად და შესაბამისად, დიდთა საქმეთა საკეთებლად; მე კი, არ მოგერიდოთ, 85-ლარიანი პენსია დამიტოვეთ...

...მოსეირნე დიდჩინოსნები კი გენიალურ პუშკინს მომაგონებენ ხოლმე, „ევგენი ონეგინს" (მომიტევოს მკითხველმა, მეხსიერებით რუსულ ციტირებას მივმართავ — საეკრანო მეტყველების, ანუ „ახალი სტილით" მეტყველების ერთ-ერთი „მარგალიტის" მიხედვით, ვციტირებძ: — „Им овладело беспокойство, охота к перемене мест... И начал странотвия без цели, доступные чувтсву обиому; и путешествия ему, как всё на свете, надоели"... ონეგინს კი მოსწყინდა путешествия, მაგრამ ჩვენთა ძლიერთა ამა საცოდავი ქვეყნისა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არცროდის მობეზრდებათ...

**ლუკა გორგაძე**

◉ ინფორმაცია

### როგორც იქნა გლეხებს ყურძნის ფული მისცეს

**კახელმა** გლეხებმა ორი წლის წინათ ჩაბარებული ყურძნის ფული მიიღეს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ „ალაზნის ველი და კომპანია" თანხების გაცემა უკვე დაიწყო.

საწარმოს თანხის გაცემა გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ცოტა ხნის წინათ დააკისრა. მევენახეთა ინტერესებს სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის" იურისტები იცავდნენ.

### გამოიძიებს კი ზოდელავა ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეს?

**დეპუტატი** გია ცაგარეიშვილი კორტებზე ჩაცხრილული ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის მასალებს ხელახლა გამოსაძიებლად ახლადდანიშნულ თბილისის მთავარ პროკურორს თავად გადაუგზავნის. ამის შესახებ ცაგარეიშვილმა პარლამენტში, მოკლულის მამასთან იური ვაზაგაშვილთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

აღნიშნული საქმე არ გამოძიებულა და ექსპერტიზის დასკვნაც გაყალბებულია, რის გამოც ხელახალი გამოძიება უნდა დაიწყოს და საქმის გამყალბებელი თანამდებობის პირები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცენ. ყოფილმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ოჯახის თხოვნით დამოუკიდებლად ექსპერტიზა ჩაატარა და სუბარის დასკვნის თანახმად, მანქანის საქარე მინა უკანა მხრიდან არის ჩამსხვრეული და მანქანაში არ შეიმჩნევა დენთის კვალი, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ამასთან, ცაგარეიშვილი იმედოვნებს, რომ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეს, რომლის ხელახალი გამოძიების თხოვნით მოკლულის მამა მურთაზ ზოდელავას მიმართავს, მთავარი პროკურორი ობიექტურად გამოიძიებს.

ХО-ЕОВ-ЕНО

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გიორგი არეშიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილი ვახო სალაძე, ძმა ვალერიანი, ძმისწულები ტარიელი, აკაკი, ეკა ოჯახებით, ცოლისძმა გურამ მგელაძე, გოგი, კოკა მგელაძეები ოჯახებით, რძლები ქეთევანი, ინგა, ნუნუ გამცემლიძე იუწყებიან

**შოთა (ჯუდუ) ვახტანგის ძე სალაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9,10 X, 16 საათზე, გამოსვენება 11 X, 14 საათზე. მისამართი: ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონის მე-2 შესახვევი (ვატიკანის საელჩოს გვერდითძ.



## დღის კალენდარი

9 ოქტომბერი

### მე-18 შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.

მიცვალება ყოვლადქებული მოციქულისა და მახარებლისა, წმიდა იოანე ღვთისმეტყველისა.

დღესასწაული ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა ხატისა, რომელიც ჩამოსვენდა საქართველოში ათონის ივერთა მონასტრიდან (1989ძ.



ამოდის 06.06
ჩადის 17.28

ამოდის 12.37
ჩადის 21.04

### დაიბადნენ:

1202 – **რობერ დე სორბონი,** ფრანგი თეოლოგი, XVII საუკუნიდან მის სახელს ატარებს პარიზის უნივერსიტეტი. გარდაიცვალა 1274 წელს.

1547 – **მიგელ დე სერვანტეს საავედრა,** დიდი ესპანელი მწერალი. გარდაიცვალა 1623 წელს.

1835 – **შარლ კამილ სენ-სანსი,** ფრანგი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1921 წელს.

1843 – **ნიკო ნიკოლაძე,** პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1928 წელს.

1874 – **ნიკოლაი რერიხი,** რუსი მხატვარი. გარდაიცვალა 1947 წელს.

1891 – **სერგეი იუდინი,** რუსი ქირურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1954 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1909 – **ჩეზარე ლომბროზო,** იტალიელი ექიმი-ფსიქიატრი და ანთროპოლოგი, დაიბადა 1835 წელს.

1926 – **ვასო აბაშიძე,** გამოჩენილი ქართველი მსახიობი, დაიბადა 1854 წელს.

1958 – **პიუს XII,** რომის პაპი. დაიბადა 1876 წელს.

1967 – **ანდრე მორუა,** ფრანგი მწერალი. დაიბადა 1885 წელს.

### მოვლენები:

**1776** – ესპანელი მისიონერები დასახლდნენ ტერიტორიაზე, რომელსაც ახლა სან-ფრანცისკო ეწოდება.

**1836** – რუსეთში გაიხსნა პირველი რკინიგზა.

**1855** – ისააკ ზინგერმა საკერავი მანქანა დააპატენტა.

**1874** – დაარსდა მსოფლიო საფოსტო კავშირი.

**1876** – პირველი ორმხრივი სატელეფონო საუბარი გარეგაყვანილობით.

**1940** – ლონდონში წმ. პავლეს საკათედრო ტაძარი დაბომბეს ნაცისტებმა.

**1961** – ტანგანიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

**1980** – ჩესლავ მილოშს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიანიჭეს.

**1984** – პირველი ამერიკელი ქალი – ქეითი სალივანი გაფრინდა კოსმოსში.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ფოსტის მსოფლიო დღე**
**აზერბაიჯანი** – არმიის დღე
**უგანდა** – დამოუკიდებლობის დღე.
**სამხრეთ კორეა** – კორეული ანბანის დღე.
**პერუ** – ეროვნული ღირსების დღე.

**მედიანიუსი**

## ანეკდოტები

– ყური დავუგდე გონების ხმას.
– მერე?
– ისეთ სისულელეებს ამბობს!..

* * *

მამაკაცი აფთიაქში შედის და კითხულობს:
– განდონები არის?
– შემოდიან ზოგჯერ... – უპასუხებს ფარმაცევტი ქალი.

* * *

– ქვირფასო, – ეუბნება კაცი ქალს, – გადავწყვიტე, რომ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ.
– ვინმე უკეთესი იპოვე?
– უკეთესი არა, უფრო იაფიანი.

* * *



– ხომ არ იცი, მიხო და მარო შერიგდნენ?
– უნდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეუძლიათ.
– რატომ?
– დაავიწყდათ, რისთვის იჩხუბეს.

* * *

– გამარჯობათ! მე თქვენი ქვედასართულელი მეზობელი ვარ.
– რა გნებავთ?
– სააბაზანოში ონკანს ხომ ვერ დაკეტავდით? თორემ, ღმერთმა ნუ ქნას და, შეიძლება ფეხები დაისველოთ, გაცივდეთ, დაავადმყოფდეთ და მოკვდეთ... ან ჩვენ თვითონ მოგკლავთ...

## კადრი



რეკლამა ვ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

## სულიერება



### სრულიად საქართველოს ფარავდეს ივერიის ღვთისმშობლის ხატი!

**9 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის საქართველოში ჩამობრძანებას დღესასწაულობს.**

20 წლის წინათ, 1989 წლის 9 ოქტომბერს ივერთა მონასტრიდან თბილისში ჩამოაბრძანეს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის – „პორტაიტის" (კარიბჭისძ ასლი.

საგულისხმოა, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი წმინდა მთის ბერებმა შეასრულეს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევითა და ქართველი ერისადმი სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად.

ეს დღე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც დღესასწაული.

**გიული ლიპარტია**

## რა არ ხდება

### ციხეში – შარვლის ტარებისთვის

**სუდანელ ჟურნალისტ ქალს ერთწლიანი ციხე ელოდება... შარვლის ტარებისთვის.** ლიუბანა ალ-ჰუსეინი რესტორანში მამაკაცის ტანსაცმლით დადიოდა, რაც იქაური კანონით აკრძალულია – სასამართლომ ქალბატონი 100 დოლარით დააჯარიმა, მაგრამ მან ჯარიმის გადახდაზე უარი თქვა, რადგან თავს დამნაშავედ არ თვლის. ახლა მას ჯარიმა შეეცვალა ერთი წლით ციხეში პატიმრობით.

### 100 ათასი ევრო – სანაგვეზე



**საფრანგეთის ერთ-ერთმა მოქალაქემ სანაგვეზე იპოვნა 100 ათასი ევრო, რომელიც თუნუქის ყუთში იდო.** მას თავიდან უნდოდა ამ ფულის დახარჯვა, მაგრამ რატომღაც შეეშინდა და ფული პოლიციაში მიიტანა. იქ კი გაარკვიეს, რომ ფულიანი ყუთი ეკუთვნოდა მოხუც ცოლქმარს, შვილებმა მოხუცებულთა თავშესაფარში რომ მიაბარეს, მათი ნივთები კი გადაყარეს, ასე აღმოჩნდა ეს თანხა სანაგვეზე. ფული მის კანონიერ მფლობელებს დაუბრუნეს.

### სუპერკარი – დიქტატორის კარნახით

**ლიბიაში რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით გამოუშვეს ამ ქვეყანაში პირველი სპორტული ავტომანქანა.** მის დამუშავებაში მონაწილეობდა ქვეყნის ლიდერი მუამარ კადაფი. ის პირადად აძლევდა რჩევებს დიზაინერებს, როდესაც პროექტს ამუშავებდნენ. კადაფის მოთხოვნით, მანქანაში არაა უსაფრთხოების ბალიშები, მგზავრების სიცოცხლეს მანქანის გრძელი ცხვირი დაიცავს.

### ნუმეროლოგიური ქორწილები

**ბოლო წლებში ახალი მოდა შემოვიდა მოსკოვში – ქორწილები მრგვალ თარიღებზე.** მაგალითად, ამას წინათ 09.09.09 – ესე იგი 2009 წლის მეცხრე თვის 9 რიცხვში – 9 სექტემბერს დაქორწინდა 1036 წყვილი, სამი რვიანისა და სამი შვიდიანის დღეებში ქორწილი გადაიხადა 1700 წყვილმა. „სამი შვიდიანიდან" უკვე განქორწინდა 7 პროცენტი, „სამი რვიანიდან" – 3 პროცენტი, ჩვეულებრივ დღეებში დაქორწინებულებიდან ინგრევა ოჯახების 5 პროცენტი.



### რომის პაპი – მომღერალი

**ბენედიქტ XVI ჩაწერა თანამედროვე კლასიკური მუსიკის ალბომი, რომის პაპი თავის ალბომში რომის საფილარმონიო აკადემიის გუნდთან ერთად მღერის და ლოცვებს აღავლენს ღვთისმშობლისადმი.** მუსიკას ასრულებს ბრიტანეთის სამეფო ფილარმონიის ორკესტრი. ალბომის გაყიდვით შემოსული თანხა მოხმარდება მთელი მსოფლიოს ღარიბი ბავშვებისთვის მუსიკის შესწავლას.

### აკრძალეს ფილმის გადაღება

**არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში აკრძალეს მის ტერიტორიაზე ფილმის „სექსი დიდ ქალაქში" გაგრძელების გადაღება.** არაოფიციალური ინფორმაციით, ამ ქვეყნის ხელისუფალთ ფილმის სახელწოდებაში არ მოეწონათ სიტყვა „სექსი". პირველმა სრულმეტრაჟიანმა ფილმმა „სექსი დიდ ქალაქში", რომლის ბიუჯეტი იყო 65 მილიონი დოლარი, გაქირავებით უკვე მოაგროვა 415 მილიონი დოლარი.

### ქალები ცალკე ვაგონში

**დუბაიში გაიხსნა ამ ქვეყანაში პირველი მეტროს 17 სამგზავრო 52-კილომეტრიანი ხაზი, ის სამი წელი შენდებოდა. რაც 7,9 მილიარდი დოლარი დაჯდა.** მეტროპოლიტენი მთლიანად ავტომატიზირებულია. ყველა მატარებელში სამი კლასის ვაგონებია: ოქროს, ვერცხლის და ... ქალების, როგორც ხელისუფლება აცხადებს, უახლოეს წლებში კიდევ სამი ხაზი აშენდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი... სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.